ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 თებერვალი 2008 №022 (3246) ფასი 50 თეთრი

# გაიხსენე ის სიხარული

## საქართველო VS პორტუგალია

დღეს. „მიხეილ მესხი“. 16 საათი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი ბრუნდება: დღეს ვაკეში საქართველო პორტუგალიას მასპინძლობს.

დიახ, თებერვალია და არ თბილა, თანაც, მგონი, პოლიტიკა უფრო გაინტერესებს და საერთოდ...

მაგრამ მოდი და, გაიხსენე, რამ მოგანიჭა იმ შარშანდელ წელიწადს სიხარული? ვინ გაჩუქა დაუვიწყარი საღამოები? თუ პატიოსნად იფიქრებ, იტყვი: საქართველოს რაგბის ნაკრებმა! ჰოდა, საქართველოს ნაკრები შინაა: ახალი მწვრთნელით, ახალი ბიჭებით, ძველი, დიდი და გაუბზარავი გულით და შენს ხმასაც ელოდება დღევანდელ თამაშში!

# ხმა მიეცი საქართველოს!

# ოთხწლიანი დნიპრო



## ჩაშლილი ტრანსფერი კონტრაქტით აღდგა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელმა სანდრო კობახიძემ დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

20 წლის ნახევარმცველი „დნიპროს“ თურქულ შეკრებაზე ახლდა და მთავარ მწვრთნელ ოლეგ პროტასოვს თავი ისე მოაწონა, რომ დნეპროპეტროვსკში დაბრუნებისთანავე კლუბის ხელმძღვანელობას კობახიძესთან კონტრაქტის გაფორმება და მისი მეორე შეკრებაზე, კვიპროსში წაყვანა სურდა. თუმცა, როგორც „დნიპროს“ პრესსამსახურმა განაცხადა, კლუბებს შორის შეთანხმება არ მოხერხდა და კობახიძეს სამშობლოში დაბრუნება მოუხდა.

თბილისში დაბრუნებულმა კობახიძემ კონტრაქტის გასაფორმებლად ხელისშემშლელი უმნიშვნელო პრობლემები ორ დღეში მოაგვარა და ისევ დნეპროპეტროვსკში ჩავიდა...

მიხეილ ჟორჟოლიანი

# არანაირი საიდუმლო: 800 000 დოლარი

## გიორგი ტყავაძე: კობახიძეს ჩვენგან პრობლემა არ შექმნია



**სანდრო კობახიძის თითქმის ჩაშლილი ტრანსფერი მაინც შედგა — თბილისის „დინამოს“ მარცხენაფლანგელი უკრაინულ „დნიპროში“ გადავიდა. ამ ტრანსფერის თაობაზე გუშინ „დინამოს“ მმართველ დირექტორ გიორგი ტყავაძეს ვესაუბრეთ...**

— სანდრო კობახიძეს „დინამოდან“ არანაირი პრობლემა არ ჰქონია. რაღაც გაუგებრობების გამო მოუხდა მას „დნიპროს“ დატოვება და თბილისში ჩამოსვლა. არც სატრანსფერო თანხაზე ყოფილა ჩვენგან რაიმე წინააღმდეგობა. „დნიპრო“ მოგვიანებით პირდაპირ ჩვენ დაგვიკავშირდა და თანხაზე მალევე მოვრიგდით.

— **არადა, ეს ტრანსფერი ჩაშლის პირას იყო. რატომ?**

— ვერაფერს გეტყვით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. „დინამოსა“ და „დნიპროს“ შორის არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ქართველი ფეხბურთელი ასეთ ძლიერ გუნდში გადავიდა. სანდრომ ქართული ფეხბურთის პრესტიჟი კიდევ უფრო აამაღლა და თავი კარგად წარმოაჩინა.

— **თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გადაუხადა „დნიპრომ“ „დინამოს“ კობახიძის სანაცვლოდ?**

— არანაირი საიდუმლო არ არის: „დნიპრომ“ 800 ათასი დოლარი გადაიხადა...

— **კარგი პრეცედენტია. აქამდე საქართველოში სატრანსფერო ფასს არავინ ამხელდა...**

— „დინამოს“ დასამალი არაფერი აქვს. ჩვენი ბუღალტერია გამჭვირვალეა და საჭირო ინფორმაციის მიღება ყველას შეუძლია. ჩვენ გვსურს, რომ ქართული ფეხბურთის და ფეხბურთელების პრესტიჟი კიდევ უფრო ამაღლდეს. ქართველი ფეხბურთელები ძალიან ნიჭიერები არიან და შესაბამისადაც უნდა დაფასდნენ. სანდრო კობახიძის ტრანსფერის ღირებულება შეიძლება უფრო მეტი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ მას ხელი არ შევუშალეთ. იმედი მაქვს, სანდრო მომავალში კარიერას „დნიპროზე“ უკეთეს გუნდში გააგრძელებს.

კობა ინასარიძე



# ლატვია: საქართველო სარგოა და გვაინტერესებს

## სტარკოვსს ყველა მოჰყავს

**აშკოლდს ულდრიკისი რიგიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

**ლატვია** ერთ-ერთი ის ნაკრებია, რომელიც საქართველოს ხშირად შეხვედრია, გინდ შესარჩევ ციკლში და გინდ ამხანაგურ მატჩში.

6 თებერვალს ჩვენებს კიდევ ერთი თამაში ელით თბილისში — ვფიქრობ, ეს ორივე გუნდისთვის სასარგებლო საკონტროლო მატჩი უნდა იყოს და წესით, თამაშმაც უნდა ივარგოს.

ლატვიის ნაკრების თავკაც ალექსანდრ სტარკოვსს, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა მოჰყავს თბილისში... ნაკრები კვირას იკრიბება რიგაში, დაგეგმილია შეხვედრა გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან. ხალხი მონატრებულია ფეხბურთს და, შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის ინტერესი საკმაოა.

ევრო 2004-ზე სანამ გავიდოდით, ბევრმა ლატვიელმა არც იცოდა, ფეხბურთი რა იყო, მერე კი პოპულარობამ უცებ იმატა...

სტარკოვსის ნაკრებს დააკლდება იურის ბლეიდელისი და, შესაძლოა, ვერც იურის ლაიზანსი ჩამოვიდეს თბილისში. საქმე ისაა, რომ ლაიზანსი ახლახან იაროსლავლის „შინიკში“ გადავიდა და ამ სატრანსფერო ამბების გამო ვერ იცლის. სხვა მხრივ კი, სტარკოვსს ყველა სასურველი ფეხბურთელი ჰყავს გამოძახებული და ერთ-ორ დებიუტანტსაც მისცემს თავის გამოჩენის შანსს.

სტარკოვსი აქაურ გაზეთებთან ინტერვიუებში ამბობს, საქართველოსთან თამაში ძალიან სასარგებლო იქნებაო.

ჩვენი ნაკრები ჩარტერული რეისით ჩამოვა თბილისში და ჟურნალისტები და გულშემატკივრებიც ჩამოჰყვებიან.

საერთოდაც, საქართველოში გამომგზავრების სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ რამდენი მოახერხებს ამას, ვერ გეტყვით...

# დათუნაიშვილი უკრაინაში მიდის

## საქართველოს ჩემპიონატი არ იძვრის



**ნიკა გელაშვილი უკვე „ზესტაფონშია“ და მის მსგავსად, პაატა დათუნაიშვილმაც დატოვა „ვიტ ჯორჯია“. მართალია, ის ჯერ თბილისშია, მაგრამ იმედი აქვს, რომ რამდენიმე დღეში უკრაინაში იქნება...**

— „ვიტ ჯორჯიადან“ უკვე წამოსული ვარ. ორშაბათს პასუხს ველოდები ერთ-ერთი კლუბიდან და ვნახოთ — გვითხრა უფროსმა დათუნაიშვილმა.

— **აზერბაიჯანულ გუნდზეა ლაპარაკი?**

— არა. უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდია, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი სახელს.

— **ვიტელებთან კონტრაქტი დაგიმთავრდა და აღარ გააგრძელე. „ვიტ ჯორჯიაში“ გაიზარდე, შენი ძმაც აქ რჩება და არ გიძნელდება აქედან წასვლა?**

— რა თქმა უნდა, მომენატრება „ვიტ ჯორჯია“, მაგრამ რა ვქნა, საქართველოს ჩემპიონატი წინ ვეღარ მიიწევს. პირადად მე აქ სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ. ისედაც საკმაო ხანი ვითამაშე საქართველოში, უკვე 24 წლის ვარ და ვფიქრობ, ჩემი ასაკის მოთამაშეს თუ ამბიცია აქვს, უცხოეთში უნდა წავიდეს.

ილია ნანობაშვილი

# ლოკომოტივი სპორტულს დაეტოლა

**თურქულ** ქემერში მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და რუმინულ „სპორტულს“ 1:1-ზე გაეყარა.

ბუქარესტელებმა, რომლებიც რუმინეთის მეორე ლიგაში თამაშობენ, ანგარიში მე-10 წუთზე გახსნეს, ჩვენებმა კი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაათანაბრეს — 1:1.

შეგახსენებთ, რომ აქამდე „ლოკომოტივი“ ბელარუსულ „ლოკომოტივთან“, გერმანულ „ემდენთან“ და ალბანურ „ტირანასთან“ დამარცხდა, თურქულ „ქექეროვასფორთან“ კი ფრე ითამაშა.

გიორგი კიკნაძის გუნდი თბილისში 3 თებერვალს დაბრუნდება.

ბაჩა შალამბერიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია 50 წლის იუბილეს ულოცავენ ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილ ფეხბურთელ
ალექსანდრე კვერნაძეს

სარბიელელები 50 წლის იუბილეს ვულოცავთ ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილ ფეხბურთელ
ალექსანდრე კვერნაძეს

### გერმანია

ბუნდესლიგა. XVIII ტური
ჰანზა 1:2 ბაიერნი
II ბუნდესლიგა. XVIII ტური
კიოლნი 1:1 ზანკტ პაული
გლადბახი 1:1 ლაუტერნი
ვეჰენი 0:2 ჰოფენჰაიმი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ლე ავრი 1:0 კლერმონი
თასის მეთექვსმეტედფინალი
ბულონი 1:2დ.დ. (1:1) ტურსი
სტრასბური 0:3 მეცი

### თურქეთი

თასის მერვედფინალი
ოფთა 0:0 ძაისერი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური
ამადორა 1:1 ბრაგა

### ფინეთი

ლიგის თასი
II ჯგუფი. I ტური
იარო 6:4 კტპ

### მხანაგური მატჩები

რანდერსი 4:1 ჰობრო
ორჰუსი 1:0 სილკებორგი
სტიაუა 1:0 ლევსკი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIII ტური
ბრედა 1:0 ტვენტე
II დივიზიონი. XXVI ტური
კამბური 1:1 ზვოლე
ემენი 2:2 ვოლენდამი
დორდრეხტი 1:0 სიტარდი
ეინდჰოვენი 1:2 როზენდალი
ალმერე 3:1 ჰელმონდი
იგლსი 2:1 მაასტრიხტი
ვალვაიკი 2:0 ჰაარლემი
ტელსტარი 2:1 ვეენდამი
ოსი 2:0 აპელდორნი

# 90 წუთის სათამაშოდ ჯერ მზად არ ვარ

# თუ კუნთი გამიშვებს, ნაკრებში ჩამოვალ



## ლევან კობიაშვილი: პორტუც კარგია და პორტუგალიაც

**„შალკემ“ მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად მოილია და ახლა ბუნდესლიგის განახლებას ელოდება — გელზენკირხენელები კვირას მეორე წრის პირველ ტურში „შტუტგარტს“ უმასპინძლებენ.**

**დიდი ხნის უქმობის მერე ლევან კობიაშვილმა სრულფასოვანი ვარჯიშიც დაიწყო და ამხანაგურ თამაშებშიც მონაწილეობდა. მთელი 90 წუთი არა, მაგრამ 30-45 წუთით თამაში „კობის“ ხშირად უწევდა.**

**ამას წინათ გერმანიის თასის მერვედფინალში „შალკეს“ „ვოლფსბურგთან“ ხელი მოეცარა და გათამაშებას გამოეთიშა. ასე, რომ, ქართველსა და მის გუნდს განახლებულ სეზონში ორ ფრონტზელა მოუწევთ ბრძოლა — ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში, სადაც მერვედფინალში „პორტუს“ ხვდებიან.**

**ლევანს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და საკლუბოს გარდა მოახლოებულ სანაკრებო თამაშზეც ვკითხეთ...**

— ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. როგორც იქნა, სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება მომეცა. ამხანაგურ შეხვედრებშიც ვითამაშე. მართალია, ჯერ სრულ 90 წუთს არ მაძლევენ, მაგრამ ნელნელა მოვუმატებ. თუმც შიგადაშიგ ტრამვა თავს მაინც მახსენებდა და ორი-სამი დღით პაუზის გაკეთება მიწევდა. დრო მჭირდება, რათა ჩვეულ ფორმას დავუბრუნდე.

— „შალკესთვის“ სეზონი ცუდად დაიწყო — გერმანიის თასიდან „ვოლფსბურგმა“ გაგაგდოთ...

— ყველას ძალიან დაგვწყდა გული, რომ წავაგეთ. გვინდოდა, თასისთვის ბრძოლა გაგვეგრძელებინა, მაგრამ არ გამოგვივიდა. სამწუხაროდ, პენალტების სერიაში დავმარცხდით — ეს ხომ ლატარიაა და არავინ იცის, ვის გაუმართლებს.

— კვირას „შტუტგარტს“ მასპინძლობთ. რამდენად მომზადებული ხვდება გუნდი მეორე წრეს?

— ამ თამაშისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ მეორე წრეს გამარჯვებით დავიწყებთ. ეს კარგი იქნება, როგორც სატურნირო ცხრილში სიტუაციის გამოსასწორებლად, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. პირველივე შეხვედრაში სამი ქულა გუნდს სტიმულს მისცემს. „შალკემ“ საწვრთნელი შეკრება კარგად ჩაატარა და ახლა მთავარია, ნასწავლი მინდორზე გადაიტანოს. რაც შეეხება იმას, მომიწევს თუ არა თამაში, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. მეც ვიცი და მირკო სლომკამაც, რომ 90 წუთის სათამაშოდ ჯერ მზად არ ვარ. შემიშვებს თუ არა რამდენიმე წუთით, ამას ვნახავთ...

— რა იქნება „შალკეს“ მიზანი ბუნდესლიგაში?

— სულ მცირე, სამეულში უნდა მოვხვდეთ, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში შევძლოთ. მთავარი კონკურენტები ისინი არიან, რომლებიც სატურნირო ცხრილს ლიდერობენ კიდეც — „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ და „ვერდერი“. ლიგაში მოხვედრა პროგრამა-მინიმუმია და ამ მიზნის განსახორციელებლად არაფერს დავიშურებთ.

— „შალკემ“ თავისი აღზრდილი მესუთ იოზილი, ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ ბრემენის „ვერდერს“ დაუთმო. რატომ?

— ძალიან საკამათო თემაა. როგორც ვიცი, ფეხბურთელის მენეჯერსა და კლუბს შორის გაუგებრობა მოხდა — პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ხანგრძლივ კონტრაქტზე იყო საუბარი და ერთ-ერთი მხარის გამო გარიგება აღარ შედგა. მთელი კვირა დაძაბული სიტუაცია იყო, შემდეგ, ორივე მხარის შეთანხმებით, საქმე ასე დამთავრდა. ჩემი აზრით, „შალკემ“ მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელი გაუშვა.

— თებერვლის ბოლოს ჩემპიონთა ლიგაში პორტუგალიურ „პორტუსთან“ თამაში გელით. იქ სუსტი გუნდები არ არიან, მაგრამ ალბათ შედარებით გაგიმართლათ — „პორტუზე“ გაცილებით ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებას ასცდით. ლიგისთვის განსაკუთრებულად ემზადებით?

— სიმართლე გითხრათ, „პორტუსთან“ თამაშს „ბარსელონასთან“ ან „რეალთან“ შეხვედრა მერჩივნა. ესთეტიკური თვალსაზრისით, მათთან დაპირისპირებას სხვა ეშხი ექნებოდა. სხვა მხრივ, „პორტუსთან“ მეტი შანსი გვექნება, თუმც ვერ ვიტყვი, რომ იოლი გასეირნება გველის. პირველი თამაში შინ გვაქვს, მაგრამ ესეც არ არის დიდი პლუსი — ჩემპიონთა ლიგაა და, დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩამდე ვერაფერს გავინაღდებთ. „შალკე“ ჩემპიონთა ლიგას ძალიან სერიოზულად უყურებს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად არაფერს დავიშურებთ.

— ლევან ყენიაზეც გკითხავ. როგორ მიდის მისი საქმეები?

— ნელ-ნელა ეჩვევა აქაურ ცხოვრებას — ენაც ისწავლა, ხელმძღვანელობაც კმაყოფილია. ლევანი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა და თავისუფლად შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ: 6 თებერვალს ამხანაგურ თამაშში ლატვიას ვხვდებით. როდის ჩამოხვალ?

— ზუსტად არ ვიცი, მოვახერხებ ჩამოსვლას თუ არა. ვნახოთ, როგორ აიტანს ახალმოშუშებული კუნთი დატვირთვებს. ეს ორი-სამი დღე გაივლის და საბოლოო პასუხიც მერე მეცოდინება.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი 31 მაისს პორტუგალიასთან ამხანაგური თამაში დაგეგმა — ამ მხრივ ჩვენს ნაკრებს დატვირთული წელი ელის. ამაზე რას იტყვი?

— კმაყოფილი ვარ. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რათა ნაკრები ახალ შესარჩევ ციკლს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. ეს ამხანაგური თამაშები ნამდვილად წაგვადგება.

**ლექსო მაისურაძე**

## ვინ გაფრინდება ღია ფანჯარაში?

**აზერბაიჯანში** სატრანსფერო ფანჯარა გუშინ გაიხსნა და იქაურ ჩემპიონატში ქართველთა ტრანსფერებსაც უნდა ველოდოთ. მით უფრო, რომ თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ცნობების მოწოდება გვიხდებოდა აზერბაიჯანულ გუნდებში ქართველთა გასინჯვა-დაწუნების თაობაზე.

გუშინ აზერბაიჯანში წასულთა სიას კიდევ ერთი ჩვენიანი დაემატა — ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპიკში“ გასინჯვაზეა გივი ჩხეტიანი, რომელსაც მანამდე „ამერში“, ქუთაისის „ტორპედოში“ და ავსტრიულ „ჰარტბერგში“ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ლომიძემ და ზიმბრუმ „ბრნო“ დაამარცხეს

**მოლდოვურმა** „ზიმბრუმ“ და მამუკა ლომიძემ მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს და ჩეხური „ბრნო“ 3:1 დაამარცხეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მცველმა სრულად ითამაშა და მოლდოვური სააგენტოების ცნობით, ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

„ზიმბრუ“ თურქულ შეკრებაზე კიდევ ერთ ტესტ-მატჩს გამართავს — 3 თებერვალს ალმათის „კაირატს“ შეხვდება.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## ყაზახებმა საქართველო და 6:1 თქვეს

**როგორც იქნა,** ყაზახმა ჟურნალისტებმა საქართველოს „ტერიტორიული მთლიანობა ცნეს“ და „გაგრა“ ქართულ კლუბად მოიხსენიეს.

სამაგიეროდ, „კაირატმა“ გაგრელებს მოედანზე ისეთი დღე დააწია...

პირველლიგელი „გაგრა“ თურქულ შეკრებაზეა და „კაირატს“ სწორედ იქ გაეჯიბრა — გაგრელები პირველივე ტაიმში გატყდნენ და მეტოქისგან ხუთი უპასუხო ბურთი მიიღეს.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და საბოლოოდ მატჩი 6:1 დასრულდა ყაზახთა სასარგებლოდ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ურუშაძე და კავაზაშვილი ტოპ-400-ში

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ იმ მეკარეების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც ყველაზე ხანგრძლივი მშრალი სერია ჰქონდათ.

ამ მაჩვენებლით მსოფლიოს 400 საუკეთესოს შორის ორი ქართველია: რამაზ ურუშაძე 143-ე ადგილზე, ანზორ კავაზაშვილი კი — 177-ეზე.

რამაზ ურუშაძეს ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშისას, 1963 წლის 20 აპრილიდან 20 ივნისამდე არ გაუშვია გოლი, ხოლო ანზორ კავაზაშვილის კარის ბადე მოსკოვის „ტორპედოში“ 1965 წლის 15 აპრილიდან 30 მაისამდე არ შერხეულა.

და რაც შეეხება რეკორდსმენს, ბრაზილიური „ვასკო და გამას“ ჟერალდო მაზაროპის სტატისტიკა მართლაც რომ შთამბეჭდავია — მართალია, ხსენებულ სიაში არ წერია, კონკრეტულად რამდენი მატჩი გამართა ამ მეკარემ გოლგაუშვებელ სერიაში, მაგრამ წარმოიდგინეთ, მაზაროპი 1977 წლის 18 მაისიდან 1978 წლის 7 სექტემბრამდე მშრალად ინახავდა კარს...

**ილია ნანობაშვილი**

# საშიში ამბავი: მოედანზე ნასიბოვი!



**ამერი 0:2 სიმურგი**

0:1 სტაროსტიაკი (21/3), 0:2 კაჩური (46)
**ამერი:** ლ. ნადირაშვილი (ქვაჩახია 46), მესხი (ხატიაშვილი 83), დიდავა, დავითნიძე (კაკაშვილი 46), ჩიკვილაძე (ელბაქიძე 46), დეკანოსიძე (ხუციძე 83), სილაგავა, ა. ალავიძე (შალამბერიძე 46), დობროვოლსკი, რ. გოცირიძე (ჩიმაკაძე 83), ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 46)
**სიმურგი:** ნიკიტინი, სტაროსტიაკი, მალიგინი, ლაპკო, რ. მამედოვი, მაზიარი, ე. მამედოვი, ომაროვი, საიადოვი, კაჩური, ნასიბოვი (ისაიევი 41)
მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: მობინოვი, გუსეინოვი, ჯალილოვი, ბაგიევი, გარუჩავა, რახმანოვი
გაფრთხილება: ნასიბოვი, მაზიარი, რახმანოვი
გაძევება: ნასიბოვი (41)

**ბოლო** რამდენიმე დღეში „ამერი“ ზედიზედ მეორე შეხვდა აზერბაიჯანულ „სიმურგს“ და ამჯერად 0:2 დამარცხდა.

გეხსომებათ, პირველად ეს გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

გუშინდელი მატჩი საზიზღრად ატალახებულ მოედანზე ჩატარდა და ამან თამაშს მნიშვნელოვანი დაღი დაასვა — ამერელებს ბურთის მოთვინიერება და კომბინაციური თამაში უჭირდათ, „ბეი, ბიგი“-ზე გაზრდილი უკრაინელებით სავსე „სიმურგი“ კი თავს უკეთ გრძნობდა.

ჰოდა, მატჩიც მათი უპირატესობით დაიწყო და საწყის წუთებში „ამერი“ ლადო ნადირაშვილმა ორჯერ იხსნა.

მერე ჩვენებმა თამაში გამოასწორეს, ატალახების „პატივი“ სიმურგელთა ნახევარსაც ერგო და ორი სახიფათო მომენტიც ვნახეთ — რევაზ გოცირიძეს ნიკიტინმა წამით დაასწრო, გიორგი დეკანოსიძის მაკრატელა კი ასევე მეკარის ნადავლი შეიქნა.

მატჩის პირველი გოლი კი პენალტს მოჰყვა — კარისკენ დარტყმული ბურთი გიორგი დავითნიძეს ხელზე მოხვდა და...

მიხაილ სტაროსტიაკმა უნაკლოდ დაარტყა 11 მეტრიდან — 0:1.

პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარაო, დავწერდით, მაგრამ „სიმურგის“ თავდამსხმელ რამინ ნასიბოვის საზიზღარ საქციელზე რომ არ ვთქვათ, არ იქნება.

გარდაბანში დაბადებულ-გაზრდილ ნასიბოვს თავიდანვე ეტყობოდა, რომ „აჭრილი“ იყო — უმნიშვნელო რალაცებზეც ხელებს შლიდა და უწმაწურ სიტყვებსაც „აშველებდა“.

ერთი სიტყვით, მე-16 წუთზე დავით ხარიტონაშვილმა ის თანამსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააფრთხილა. მერე, 41-ე წუთზე, ნასიბოვმა ისევ „აურია“, არბიტრს შეეკამათა, შეაგინა, არა და არ მოისვენა, უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა და... ცხადია, წითელი ბარათიც დაიმსახურა. ეს იყო და, წითლის დანახვაზე ხარივით გაშმაგებული ნასიბოვი ხარიტონაშვილს ეძგერა და სახეში თავი ჩასცხო.

დაძაბულობა ამერელებმა განმუხტეს — ხარიტონაშვილს მიეშველნენ და მოქიშპე ნასიბოვი მოედნიდან გაათრიეს.

გვესმის, მატჩი ამხანაგური იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსამზადებელი ეტაპია და გუნდში დამკვიდრების მოსურნე ფეხბურთელები ნერვიულობენ, მაგრამ იმას, რაც გუშინ ნასიბოვმა გააკეთა, მით უმეტეს, აბსოლუტურად მშვიდ თამაშში, არანაირი გამართლება არ აქვს.

იმედია, ამ საქმეს არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დატოვებს უყურადღებოდ და საქმის კურსში ჩააყენებს აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციას, რათა ნასიბოვი დაისაჯოს.

ისე, როგორც შევიტყვეთ, „სიმურგმა“ ის უკვე გააგდო გუნდიდან.

თამაშიც გავიხსენოთ: მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კაჩურმა მცველებს შეცდომა არ აპატია და თავურით შეაგდო — 0:2.

ამის შემდეგ მთელი მეორე ტაიმი ბურთი „ამერს“ ჰქონდა, ბევრსაც უტევდა და მომენტებიც შექმნა, მაგრამ გოლი არა და არ გავიდა. განსაკუთრებით კი ორ ეპიზოდს გამოვარჩევთ — დიმიტრი ტატანაშვილს მეკარემ ორი მეტრიდან აუღო, გიორგი დეკანოსიძემ კი ბურთი ხარიხას გაარტყა...

და ერთიც: „ამერს“ აქამდე შვიდჯერ უთამაშია აზერბაიჯანულ გუნდებთან და გუშინ პირველად დამარცხდა...

**ბაჩა შალამბერიძე**



რამინ ნასიბოვი მოედნიდან ამერელებმა გაიყვანეს



ამერელი დენის დობროვოლსკი სიმურგელებისა და ტალახის ალყაში

# ქართველებმა ბელეკი მშრალად დაიწყეს

## ზესტაფონმა ტობოლი ვერ მოინელა

**გუშინ** დაბა ბელეკში ამავე სახელწოდების თასის გათამაშება დაიწყო და ჯგუფის პირველივე მატჩში „ქართული“ დერბი შედგა — ტურნირის ორგანიზატორებმა გუნდები და კალენდარი იმდენჯერ შეცვალეს, სანამ „ზესტაფონი“ რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილ ყარაგანდის „შახტიორს“ არ შეახვედრეს. გეცოდინებათ, ყაზახურ გუნდში ლაშა ნოზაძე და ლევან მელქაძე თამაშობენ.

„ზესტაფონისა“ და „შახტიორის“ გარდა ჯგუფში რუმინული „ჩახლაული“ და კორეული „ჩეჩუ“ არიან.

„ზესტაფონს“ ყაზახებთან ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი — ინტერტოტოს თასის წინა გათამაშებიდან იმერლები ხომ ყაზახურმა „ტობოლმა“ გამოთიშა.

რევანში არ შედგა — 0:0.

არადა, ჩვენებს მე-15 წუთზე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ გიგი ფიფიამ ხუთიოდე მეტრიდან კარს მცირედით ააცილა.

პირველ ტაიმში მეტი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმის დიდი ნაწილი კი „ზესტაფონმა“ უმცირესობაში გაატარა — 58-ე წუთზე იმერელთა გაბონელი ლეგიონერი პოლ კესანი მეორედ გააფრთხილეს...

კაცნაკლულ „ზესტაფონს“ მაინც მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ამჯერად მიზანმა ნიკა გელაშვილს უმტყუნა, ყაზახებს კი დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ.

„შახტიორის“ შემადგენლობაში ნოზაძემ სრულად ითამაშა, მელქაძე კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.

ზესტაფონელებმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს. *გ. ჭანტურია, საჯაია, რ. ონიანი, კესანი, ს. თოდუა, უ. ლომჯანიძე (შ. ლონლაძე 46), ხიდეშელი (ბენაშვილი 46), ვიეირა, ფიფია (ბ. გოცირიძე 46), ნ. კვასხვაძე (გელაშვილი 56), იონანიძე (ბიტოო 60).*

ხვალ „ზესტაფონი“ რუმინულ „ჩახლაულს“ შეხვდება, რომელმაც ჯგუფის პირველი მატჩი კორეულ „ჩეჩუ იუნაიტედთან“ 0:1 დათმო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევაზ ძოძუაშვილი: ყაზახეთმა საქართველოს უკვე გაასწრო



„ბელეკის თასის“ გათამაშებაში „ზესტაფონი“ და რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილი ყარაგანდის „შახტიორი“ თამაშობენ. ტურნირის ორგანიზატორებმა რამდენჯერმე არიეს კალენდარი და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გუშინ ბელეკში „ქართული“ დერბი იყო. გეხსომებათ, ძოძუაშვილს კონტრაქტი გასული სეზონის ბოლოს დაუმთავრდა, თუმც კლუბის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება გაუგრძელა. სწორედ ამ კითხვით დაიწყეს ყაზახმა ჟურნალისტებმა ქართველ მწვრთნელთან საუბარი...

**— რატომ გადაწყვიტეთ ყარაგანდაში დარჩენა?**

— ზაფხულზე „შახტიორს“ ევროტურნირებზე დებიუტი ექნება, ეს კი პროფესიული თვალსაზრისით მიმზიდველია — კიდევ ერთხელ მინდა, ჩემი კვალიფიკაცია გამოვცადო. სხვადასხვა გუნდებთან მიმუშავია და არაერთხელ გვითამაშია ევროტურნირებზე. საინტერესო იქნება გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა ნახონ, რას წარმოადგენს „შახტიორი“.

**— კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა ყაზახეთის ჩემპიონობაა. ეს ხომ არ გაშინებთ?**

— „შახტიორი“ ვალდებულია, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, ამის ძალა შეგვწევს. მე არა მარტო ოქროს მედლები, არამედ უევას თასზე წარმატებული თამაშიც მინდა. ამას შევძლებთ, თუ სეზონის წინ გუნდს გავაძლიერებთ და ფინანსური პრობლემები არ იქნება.

**— ყაზახეთში უკვე ნახევარი წელი გაატარეთ — რა განსხვავებაა ყაზახურ და ქართულ ფეხბურთს შორის?**

— თქვენმა ფეხბურთმა განვითარების ტემპით საქართველოს გაასწრო. სამწუხაროდ, ჩემს ქვეყანაში ფეხბურთისთვის არ სცალიათ — იქ მთავარი თემა პოლიტიკური რეფორმებია. ყაზახური ფეხბურთი კი სწორ გზაზე დგას და თუ სტარტს აიღებ, აღარ უნდა გაჩერდე, ვალდებული ხარ, უფრო მოუმატო.

# იანვრის უძვირესი ტრანსფერები

| ფეხბურთელი | ამპლუა | კლუბიდან | კლუბში | ფასი |
|---|---|---|---|---|
| ნიკოლა ანელკა | თავდამსხმელი | ბოლტონი | ჩელსი | 30 |
| ბრენო | მცველი | სან პაულუ | ბაიერნი | 17,2 |
| ალან ჰატონი | მცველი | რეინჯერსი | ტოტენჰემი | 16 |
| სესარ დელგადო | თავდამსხმელი | კრუს ასული | ლიონი | 15 |
| მარტინ შკრტელი | მცველი | ზენიტი | ლივერპული | 13 |
| ფერნანდო ბელუსკი | ნახევარმცველი | რივერ პლეიტი | ოლიმპიაკოსი | 10,48 |
| ჯეიმს მაკფადენი | თავდამსხმელი | ევერტონი | ბირმინგემი | 10 |
| კრისტიანო ლუკარელი | თავდამსხმელი | შახტარი | პარმა | 8 |
| ენდი რიდი | ნახევარმცველი | ჩარლტონი | სანდერლენდი | 8 |
| რაფაელ დე არაუჟო | თავდამსხმელი | ციურიხი | ჰერტა | 7,46 |
| მესუტ იოზილი | ნახევარმცველი | შალკე | ვერდერი | 7,42 |
| გრეტარ სტეინსონი | მცველი | ალკმაარი | ბოლტონი | 7 |
| მარლონ კინგი | თავდამსხმელი | უოტფორდი | უიგანი | 6 |
| ბრუნო სილვა | მცველი | გრონინგენი | აიაქსი | 5,58 |
| ჰედვიგეს მადურო | მცველი | აიაქსი | ვალენსია | 4,48 |
| პიერ-ალენ ფრო | თავდამსხმელი | პსჟ | ლილი | 4,4 |
| ემანუელ ვილია | თავდამსხმელი | ტეკოსი | დერბი | 4 |
| რადე პრიკა | თავდამსხმელი | ოლბორგი | სანდერლენდი | 4 |
| ფილ ბერდსლი | მცველი | მანჩესტერი | სანდერლენდი | 4 |
| რასმუს ლინდგრენი | ნახევარმცველი | გრონინგენი | აიაქსი | 3,7 |
| ერიკ ნევლანდი | თავდამსხმელი | გრონინგენი | ფულემი | 3,7 |
| გიიომ ჟიე | მცველი | გენტი | ანდერლეხტი | 3,42 |
| რობი სევიჯი | ნახევარმცველი | ბლექბერნი | დერბი | 3 |
| დევიდ მერფი | ნახევარმცველი | ჰიბერნიანი | ბირმინგემი | 3 |
| ნიკოს სპიროპულოსი | ნახევარმცველი | პანიონიოსი | პანათინაიკოსი | 2,72 |
| უეინ რუტლეჯი | ნახევარმცველი | ტოტენჰემი | ასტონ ვილა | 2,5 |

*შენიშვნა: ფასები მოცემულია მილიონ დოლარებში*

# დროგბა რეალისთვის განახევრდა

## ესიენი გატუზოს ფანია



**ესპანური** „მარკას" ცნობით, დიდიე დროგბა „ჩელსიდან" „რეალში" იწევს. 29 წლის მეგოლის აგენტი რამდენიმე დღის წინ მადრიდში ყოფილა და „სამეფო კლუბის" შეფებს მოახსენა, რომ მისი კლიენტი ბერნდ შუსტერის გუნდში სიამოვნებით ითამაშებს.

შემოდგომაზე, „ჩელსიდან" ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ, დიდიე დროგბა გაქცევას ლამობდა და კოტდივუარელის აგენტი „რეალს" შეევაჭრა. მაშინ მადრიდელებმა გარიგება იუარეს, რადგან 29 წლის თავდამსხმელში 40 მილიონი ევრო ეძვირათ. ამჯერად მოლაპარაკება უფრო სიამტკბილობაში გაიმართა, რაკი ფეხბურთელის ფასი განახევრდა და 20 მილიონამდე დაიწია. დროგბას „ჩელსისთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს. იგი ამჟამად აფრიკის ერთვნებათა თასზეა და კოტ დივუარი კვირას მეოთხედფინალში გვინეას შეხვდება.

დიდიე დროგბას თანაკლუბელმა მიკაელ ესიენმა კი გაამხილა, რომ „მილანის" გულშემატკივარია და იქვე განუმარტა ჟურნალისტებს, რომ „ჩელსიდან" წასვლას არ აპირებს. „იტალიური ფეხბურთი ძალიან მომწონს — თქვა განელმა „გაძეტა დელო სპორტთან" — ტაქტიკური თვალსაზრისით სერია A მსოფლიოში საუკეთესოა. ჩემი ფავორიტი „მილანია", რადგან კაკა, პაოლო მალდინი და ჯენარო გატუზო იქ თამაშობენ. ჯენარო გატუზოს ფანი ვარ. მებრძოლია, ხისტია, მაგრამ არ უხეშობს. მართალია, „მილანს" ვქომაგობ, მაგრამ ლონდონი მსოფლიოს საუკეთესო ქალაქია. აქ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და ფეხბურთზე გიჟდებიან. ჩვენთვის, ინგლისურად მოლაპარაკე აფრიკელებისთვის, რომლებსაც მუსიკა უყვართ, ლონდონი მომაჯადოებელია".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემი მასკერანო ჩემთან

**რაფა ბენიტესმა** „ლივერპულის" მაპატრონეებზე პირველი გამარჯვება იზეიმა — ამერიკელები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი იძულებულნი გახდნენ, არგენტინელი ხავიერ მასკერანოს კლუბში დასატოვებლად 17 მილიონი გირვანქა გადაეხადათ.

ასე და ამგვარად, 23 წლის მასკერანო დროებითი კი არა, „შტატიანი" მერსისაიდელი გახდება, ოღონდ... ივნისიდან ანუ სეზონის ბოლოდან. მხარეები ასე შეთანხმდნენ და საბოლოო დოკუმენტს ხელი ზაფხულზე მოეწერება.

ერთი სიტყვით, ყველაფერი შეთანხმებული და გარკვეულია — არგენტინელი ნახევარმცველი ოთხწლიან კონტრაქტის დათანხმდა.



მასკერანოს შესაძენი 17 მილიონის გამოძებნა კი მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც ჰიკსმა და ჯილეტმა ამასწინათ „ლივერპულის" ხელახალი დაფინანსების საკითხები ოფიციალურად და საბოლოოდ მოაგვარეს.

**პაპუნა ძიძია**

# სელტიკი ბარით შეუტევს

**„სელტიკმა"** „დანდი იუნაიტედიდან" ბარი რობსონი შეიძინა, ირჟი იაროშიკი კი სამარის „კრილია სოვეტოვს" მიჰყიდა. დანდელმა ფორვარდმა გლაზგოური კლუბის ყურადღება იმით მიიქცია, რომ ამ სეზონის 21 მატჩში 11 გოლი გაიტანა. მის სანაცვლოდ 1,4 მილიონი ევრო გადაიხადეს, ფეხბურთელმა კი სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება ირჟი იაროშიკს, ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა და „სელტიკს" მისი სამსახური აღარ სჭირდებოდა.

# ანდერლეხტის მეხუთე იაკოვენკოა

**„გენკის"** უკრაინელი ნახევარმცველი ალექსანდრ იაკოვენკო „ანდერლეხტმა" სეზონის ბოლომდე ითხოვა კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით. იაკოვენკოს „გენკში" იშვიათად ათამაშებდნენ და კლუბის გამოცვლა სურდა. „ჩვენ გვჯერა მისი და ნდობა უნდა გაამართლოს" — თქვა „ანდერლეხტის" დირექტორმა ჰერმან ვან ჰოლსბეეკმა. ბრიუსელურმა კლუბმა იაკოვენკომდე ლუიჯი პიერონი, გიიომ ჟიე, ტომას შატელი და სტანისლავ ვლჩეკი შეიძინა.

# გარდნერი გასტაბსდა

**„ევერტონმა"** „ტოტენჰემში" გადასული ალან სტაბსის შემცვლელი იპოვა — „დერბიდან" ენტონი გარდნერი გადაიყვანა. გარდნერი „ტოტენჰემში" 1999 წელს „პორტ ვეილიდან" გადავიდა და პრემიერლიგაში 114, ინგლისის ნაკრებში კი ერთი მატჩი ჩაატარა. გარდა ამისა, „ევერტონმა" ნახევარმცველი ანდერსონ და სილვა „ბარსელონას" მიჰყიდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა ამავე გუნდში ნახევარი სეზონი იჯარით გაატარა.

# ოზილმა ხუმრობა მუსიკით შეცვალა

**19 წლის** მესუტ ოზილი „ვერდერმა" „შალკესგან" 5 მილიონ ევროდ იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ბუნდესლიგის ერთ-ერთ ნიჭიერ ნახევარმცველად მიჩნეულ ოზილს „შალკეს" შეფებთან ახალი კონტრაქტის პირობებზე უთანხმოება მოუვიდა და კლუბმა მისი დატოვება აღარ ისურვა. იანვრის სატრანსფერო პერიოდში „ვერდერმა" ლეონ ანდრეასენი „ფულემს" მიჰყიდა, კარლოს ალბერტო კი „სან პაულუს" ათხოვა.

# ლიტმანენი ცოცხალია

**„აიაქსის"**, „ბარსელონასა" და „ლივერპულის" ყოფილი ნახევარმცველი, 36 წლის იარი ლიტმანენი სეზონის ბოლომდე „ფულემში" ითამაშებს. ლონდონური კლუბი პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის და გამოცდილი ფეხბურთელიც ამიტომ დაიმატა.

„მგონი, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ მაღალი კლასისაა ლიტმანენი და მისი ცოდნა ძალიან წაგვადგება" — თქვა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა. ბოლოს ფინელი შვედურ „მალმიოში" თამაშობდა. „ფულემმა" შვეიცარიული „იანგ ბოიზიდან" ტონი კაილოც შეიძინა.

# რიდმა დაიკნავლა

**ჩემპიონლიგის** „ჩარლტონისა" და ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველი ენდი რიდი „სანდერლენდმა" იყიდა. „შავმა კატებმა" 25 წლის ფეხბურთელში ოთხი მილიონი გირვანქა გადაიხადეს და სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „შუა ხაზში ძლიერი მოთამაშე გვაკლდა და რიდი სწორედ ასეთია" — განაცხადა „სანდერლენდის" თავკაცმა როი კინმა.

# ანელკას რასიაკი შეცვლის

**პოლონელი** ფორვარდი გჟეგოჟ რასიაკი „საუთჰემპტონიდან" „ბოლტონში" გადავიდა და სეზონის ბოლომდე პრემიერლიგაში ითამაშებს. 29 წლის თავდამსხმელი, რომელსაც ნაკრებში 37-ჯერ უთამაშია, „ჩელსიში" გადასულ ნიკოლა ანელკას შეცვლის. ფრანგის წასვლის შემდეგ „ბოლტონს" შეტევაში გაუჭირდა და რასიაკი დაეხმარება.

# დეფოს ეღირსა

**ინგლისის** ნაკრების ფორვარდი ჯერმენ დეფო „ტოტენჰემმა" „პორტსმუთს" მიჰყიდა, მაგრამ კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს. დიმიტარ ბერბატოვის და რობი კინის ჩრდილში მყოფ დეფოს, დიდი ხანია, კლუბის გამოცვლა სურდა და საწადელს მიაღწია. მან „მამლებში" სამი სეზონი გაატარა და 177 მატჩში 64 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, „ტოტენჰემმა" „ჰერტადან" ბრაზილიელი მცველი ჟილბერტო შეიძინა.

# რეკორდული ალვეში

**„მიდლსბრომ"** კლუბისთვის სარეკორდო ფასად, 12 მილიონ გირვანქად, „ჰერენვენიდან" აფონსო ალვეში იყიდა. ბრაზილიელმა ფორვარდმა ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. წინა სეზონში ალვეში 31 მატჩში 34 გატანილით ჰოლანდიის ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა, გასულ შემოდგომაზე კი „ჰერაკლესთან" შეხვედრაში (9:0) შვიდი გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისი ჩემია!



**ფაბიო კაპელომ** მკაფიოდ განაცხადა: ამიერიდან ინგლისის ნაკრები ჩემი გუნდია! საიდან ვიცით? უპირველეს ყოვლისა, იქიდან, რომ მან შვეიცარიასთან ამხანაგური თამაშის წინ შეკრებაზე დევიდ ბექემი არ გამოიძახა.

კაპელო: „დევიდი გუნდში იმიტომ არ არის, რომ ნოემბრის მერე არ უთამაშია".

ლოგიკურია, ხომ მართალია? მართალია, ბექემს ნაკრებში 99 მატჩი აქვს ჩატარებული, ანუ შვეიცარიასთან საიუბილეო თამაში უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ არა! პატივისცემა და კოჭის გორება, როდესაც მოედანზე ნოემბრის შემდეგ არ გასულხარ, სად სად და ინგლისში, მით უფრო კი კაპელოს ხელში, „არ მოსულა". არადა, ინგლისელთა ეროვნული გუნდის ყოფილმა კაპიტანმა იანვარში დიდი ხანი „არსენალის" ბაზაზე გაატარა, არსენ ვენგერის ბიჭებთან ერთად ემზადებოდა და ნაკრებში მოხვედრას იმედოვნებდა.

სხვათაშორის, სინიორ კაპელომ ამ გადაწყვეტილებით, მაინცდამაინც, ვერც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ასიამოვნა. რატომ? აი, რატომაც: ინგლისური ფეხბურთის შეფები ბექემის მეასე თამაშით ფულის გაკეთებას აპირებდნენ და გეგმა ჩაეშალათ. ერთი სიტყვით, იტალიელმა მწვრთნელმა ყველას დაანახა, რომ მის ხელში კომერციული და „კაიტიპური" პრიორიტეტები გამორიცხულია.

„მე ვუთხარი ბექემს, რომ იგი კვლავ რჩება ჩემი გეგმის ნაწილად და თუ ამერიკაში რეგულარულად თამაშს მოახერხებს, ნაკრებში დავაბრუნებ — დასძინა კაპელომ, ხოლო 32 წლის ვარსკვლავთან დაახლოებულმა მავანმა პიროვნებამ ინგლისელ ჟურნალისტებს მისი გუნება-განწყობის ამბები მოუთხრო:

„იმან, რომ ნაკრებში არ გამოიძახეს, დევიდზე ძალიან იმოქმედა. იგი „არსენალთან" ერთად თავგადაკლული ვარჯიშობდა და იმედოვნებდა, რომ შვეიცარიასთან სათამაშოდ გამოიძახებდნენ. ერთი სიტყვით, მისთვის იმის თქმა, რომ ფიზიკურად ვერ არის მთლად კარგად მომზადებული, ცოტა არ იყოს, უცნაური გახლდათ, თუმცა ბექემს სულაც არ მიაჩნია, რომ ეს მისი სანაკრებო კარიერის დასასრულია".

„სარბიელის" მკითხველს მოეხსენება, რომ კაპელომ შვეიცარიასთან თამაშის წინ თავიდან 30 მოთამაშე გამოიძახა, თუმცა ამ ხალხიდან ორშაბათისთვის 23 დარჩება.

კაპელო: „დღეიდან სექტემბრამდე, ანუ მსოფლიოს 2010 წლის პირველ შესარჩევ თამაშამდე შევეცდებით გავარკვიოთ იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც დავეყრდნობით და მათი მიხედვით სათამაშო პრინციპები განვსაზღვროთ".

**პაპუნა ძიძია**

## დაბო დაბრუნდა

**„ლაციომ"** „ნიუკასლიდან" დავიდ როზეჰნალი ითხოვა, „მანჩესტერ სიტიდან" კი უსმან დაბო დაიბრუნა. იტალიურ კლუბს სეზონის ბოლოს ჩეხი მცველის გამოსყიდვის უფლება ექნება, რომელიც „ნიუკასლში" წელიწადნახევრის წინ პსჟ-დან გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ასევე იყო ფრანგი დაბოს საქმეც, ვინც 2006-ში მიაშურა „სიტის", მაგრამ სულ 13-ჯერ ათამაშეს.

## დიპოლიტოს დასტური

**„ფიორენტინას"** ნახევარმცველი მიკელე პაციენცა „ნაპოლიმ" იყიდა. კლუბებს შორის მოლაპარაკება კვირაზე მეტხანს მიმდინარეობდა და ფეხბურთელის აგენტმა ვინჩენცო დიპოლიტომ ხუთშაბათს დაადასტურა, რომ გარიგება შედგა. 25 წლის პაციენცაში ნეაპოლელებმა 4 მილიონი ევრო გადაიხადეს, ნახევარმცველმა კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## მანჩინიმ შვილი გაათხოვა

**„ინტერის"** მწვრთნელის რობერტო მანჩინის შვილი, 17 წლის ფილიპო „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. ამის შესახებ მილანურმა კლუბმა ოფიციალურ ვებგვერდზე განაცხადა. სიტელთა მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი შემტევ ნახევარმცველს სეზონის ბოლომდე დაიტოვებს. რობერტო მანჩინის „ლაციოში" და „სამპდორიაში" ერიკსონის თავკაცობით უთამაშია და შვედთან კარგი ურთიერთობა აქვს. გარდა ამისა, „სიტიმ" „ბაზელიდან" ფორვარდი ფელიპე კაისედო 5 მილიონ ევროდ შეიძინა.

## ჰაგენი და უიგანი

**ნორვეგიის** ნაკრებისა და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" მცველი ერიკ ჰაგენი ოთხი თვით „უიგანში" გადავიდა. 32 წლის ფეხბურთელი ინგლისში გუშინ ჩავიდა და შესაძლოა, ამ უქმეებზე „ვესტ ჰემთან" ითამაშოს. „უიგანის" მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა თქვა, რომ ჰაგენი პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდის დაცვას აუცილებლად გააძლიერებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### XXV ტური

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | დერბი |
| ბლექბერნი | : | ევერტონი |
| ლივერპული | : | სანდერლენდი |
| სიტი | : | არსენალი |
| პორტსმუთი | : | ჩელსი |
| რედინგი | : | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | : | მანჩესტერი |
| უიგანი | : | ვესტ ჰემი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ფულემი | : | ასტონ ვილა |
| ნიუკასლი | : | მიდლსბრო |

**„არსენალი"** მანჩესტერში „სიტის" თუ მოუგებს ან ფრეს ითამაშებს, სულ მცირე ერთი საათით გადაასწრებს ლიდერ „მანჩესტერს", რომელიც მოგვიანებით „ტოტენჰემს" შეხვდება. „სიტიმ" პირველი წრე ბევრისთვის მოულოდნელად კარგად ჩაატარა და ოთხეულში ტრიალებდა, მაგრამ იანვარში უკლო და მეექვსე საფეხურზე დაეშვა. ბოლო ხუთ ტურში სვენ-გორან ერიკსონის გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, ხოლო „არსენალმა" — ოთხი. „მეთოფეებს" ტრავმის გამო ტომაშ როსიცკი, რობინ ვან პერსი, იოჰან ჯურუ და დენილსონი დააკლდებათ. ემანუელ ებუე, კოლო ტურე და ალექსანდრ სონგი აფრიკის თასზე არიან. სიტელებს გამოჯანმრთელებული მცველი მიკა რიჩარდსი

# ინგლისი

## გრანტი მაურინიუს ეჯიბრება

დაუბრუნდებათ, რომელსაც ორი კვირა გაუცდა.

საუცხოოდ მოთამაშე, ზედიზედ ოთხი მატჩის მომგები „მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონში „ტოტენჰემს" ეწვევა, რომელიც ცოტა ხნის წინ ასოციაციის თასზე შინ 3:1 დაამარცხა. უკვე ექვსი წელიწადია, ალექს ფერგიუსონის გუნდი „მამლებს" სტუმრად უგებს და კრიშტიანუ რონალდუს ბრწყინვალე ფორმას თუ გავითვალისწინებთ, მასპინძელთა დაცვას კარგი დღე არ დაადგება. „მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, რაიან გიგზი, კარლოს ტევესი და ოუენ ჰარგრივსი გამოჩნდებიან. ტევესი და ჰარგრივსი ოთხშაბათს „პორტსმუთთან" შეცვლაზე შევიდნენ. „ტოტენჰემს" დაცვაში ეყოლება ახალშეძენილი ალან ჰატონი და ჯონათან ვუდგეიტი. დარენ ბენტი, გარეტ ბეილი და ლედლი კინგი ტრავმირებულნი არიან.

„ჩელსი" „პორტსმუთში" თუ იმარჯვებს, ავრაამ გრანტი ყოზე მაურინიუს რეკორდს გააუმჯობესებს. 2006-ში „ჩელსიმ" პორტუგალიელის ხელში მიჯრით ცხრა მოიგო და გრანტის ხელში ეს შედეგი გაიმეორა. ლონდონელებს მეათეს მოგება სჭირდებათ რეკორდის გასაუმჯობესებლად. ეს იოლი არ იქნება, პორტსმუთში ხომ ნებისმიერ ლიდერს უჭირს, თუმც არა „ჩელსის", რომელმაც საპორტო ქალაქში ბოლო ოთხი სტუმრობიდან ოთხჯერვე იძალა, თან ისე, რომ მასპინძლებისგან გოლი არ გაუშვა. საერთოდ, უკვე ცხრა მატჩია, „პორტსმუთს" „ჩელსისთან" ქულაც კი არ აუღია. ფრენკ ლამპარდი გამოჯანმრთელდა და გამორიცხული არაა, დღეს ითამაშოს. ანდრეი შევჩენკო და ჯონ ტერი ტრავმირებულნი არიან, ხოლო რიკარდუ კარვალიუ დისკვალიფიცირებულია.

„ნიუკასლი", რომელსაც ოთხი ტურია, გოლი არ გაუტანია, კევინ კიგანის ხელქვეით პირველი მატჩის მოგებას „მიდლსბროსთან" შეეცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



კრიშტიანუ რონალდუმ „მამლები" თასიდან უკვე გააძევა

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | 2:0 | 2:1 | | | | 2:0 | 2:0 | | 1:0 | 6:0 | 4:1 | 1:0 | | 0:0 | 1:0 | 4:0 | 2:0 | 4:1 | 24 | 18 | 3 | 3 | 48:11 | 57 | 12 | 1 | 0 | 31:3 | 37 | 6 | 2 | 3 | 17:8 | 20 |
| 2 | არსენალი | 2:2 | | 1:0 | | | 1:0 | | | 3:1 | 2:0 | 2:1 | 3:0 | | 3:2 | 2:0 | | 1:1 | 2:0 | 2:1 | 5:0 | 24 | 17 | 6 | 1 | 49:17 | 57 | 11 | 2 | 0 | 29:8 | 35 | 6 | 4 | 1 | 20:9 | 22 |
| 3 | ჩელსი | | | | 1:1 | 4:4 | 6:0 | | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | | 2:0 | | 1:0 | 3:2 | | 0:0 | | 24 | 16 | 5 | 3 | 37:16 | 53 | 8 | 4 | 0 | 23:8 | 28 | 8 | 1 | 3 | 14:8 | 25 |
| 4 | ევერტონი | 0:1 | 1:4 | | | | 1:0 | 1:2 | 1:1 | | | 0:0 | | 2:0 | 7:1 | 2:0 | | 3:1 | 2:1 | 3:0 | | 24 | 13 | 4 | 7 | 40:23 | 43 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 23 | 6 | 2 | 4 | 17:12 | 20 |
| 5 | ასტონ ვილა | 1:4 | 1:2 | 2:0 | 2:0 | | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:3 | 1:0 | 2:1 | | | | | 3:1 | | | 2:1 | 2:0 | 24 | 11 | 8 | 5 | 43:31 | 41 | 7 | 2 | 4 | 20:16 | 23 | 4 | 6 | 1 | 23:15 | 18 |
| 6 | სიტი | 1:0 | | | | 1:0 | | 0:0 | 2:2 | | 1:1 | | 3:1 | 3:1 | 1:0 | 4:2 | 2:1 | 1:0 | | | 1:0 | 24 | 11 | 8 | 5 | 31:25 | 41 | 9 | 3 | 0 | 20:8 | 30 | 2 | 5 | 5 | 11:17 | 11 |
| 7 | ლივერპული | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 2:2 | | | | 4:1 | | 2:2 | | | | 4:0 | | 0:0 | 1:1 | 2:0 | 6:0 | 23 | 10 | 10 | 3 | 37:17 | 40 | 4 | 6 | 1 | 23:9 | 18 | 6 | 4 | 2 | 14:8 | 22 |
| 8 | ბლექბერნი | | 1:1 | 0:1 | | 0:4 | 1:0 | 0:0 | | 0:1 | 0:1 | | 3:1 | 1:1 | 1:0 | | 4:2 | 2:1 | | | | 24 | 10 | 8 | 6 | 32:31 | 38 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 | 5 | 5 | 2 | 19:18 | 20 |
| 9 | პორტსმუთი | 1:1 | 0:0 | | 0:0 | | 0:0 | 0:0 | | | 0:0 | 0:1 | | 0:1 | | 3:1 | 7:4 | | | | 3:1 | 24 | 10 | 7 | 7 | 34:25 | 37 | 3 | 6 | 2 | 14:9 | 15 | 7 | 1 | 5 | 20:16 | 22 |
| 10 | ვესტ ჰემი | 2:1 | 0:1 | | 0:2 | | 0:2 | 1:0 | | | | 1:1 | | 3:0 | 3:1 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | 2:1 | | 23 | 10 | 6 | 7 | 29:21 | 36 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 19 | 5 | 2 | 4 | 14:9 | 17 |
| 11 | ტოტენჰემი | | 1:3 | | 1:3 | 4:4 | 2:1 | | 1:2 | | | | | | 2:0 | | 6:4 | 2:3 | 4:0 | 5:1 | 4:0 | 24 | 7 | 7 | 10 | 44:40 | 28 | 6 | 1 | 4 | 32:21 | 19 | 1 | 6 | 6 | 12:19 | 9 |
| 12 | ნიუკასლი | | 1:1 | | 3:2 | 0:0 | 0:2 | 0:3 | | 1:4 | 3:1 | 3:1 | | | | 0:0 | | 2:1 | 1:0 | | 2:2 | 24 | 7 | 6 | 11 | 27:42 | 27 | 5 | 4 | 3 | 16:17 | 19 | 2 | 2 | 8 | 11:25 | 8 |
| 13 | მიდლსბრო | | 2:1 | 0:2 | 0:2 | 0:3 | | 1:1 | 1:2 | | 1:2 | 1:1 | 2:2 | | 2:2 | | | 2:0 | 1:0 | | | 24 | 6 | 7 | 11 | 21:37 | 25 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 | 3 | 3 | 6 | 8:19 | 12 |
| 14 | სანდერლენდი | 0:4 | | | | 1:1 | | 0:2 | 1:2 | 2:0 | | 1:0 | 1:1 | | | 3:1 | 2:1 | 2:0 | | 1:1 | 1:0 | 24 | 6 | 5 | 13 | 24:42 | 23 | 6 | 3 | 3 | 15:13 | 21 | 0 | 2 | 10 | 9:29 | 2 |
| 15 | ბოლტონი | 1:0 | | 0:1 | 1:2 | 1:1 | | | 1:2 | | | 1:1 | 1:3 | 0:0 | | | 3:0 | 3:0 | 4:1 | 0:0 | 1:0 | 24 | 5 | 7 | 12 | 24:34 | 22 | 5 | 4 | 4 | 17:11 | 19 | 0 | 3 | 8 | 7:23 | 3 |
| 16 | რედინგი | 0:2 | 1:3 | 1:2 | 1:0 | | | 3:1 | | 0:2 | 0:3 | | 2:1 | 1:1 | 2:1 | | | | 2:1 | | 1:0 | 24 | 6 | 4 | 14 | 30:50 | 22 | 6 | 1 | 5 | 14:17 | 19 | 0 | 3 | 9 | 16:33 | 3 |
| 17 | ბირმინგემი | 0:1 | | 0:1 | | 1:2 | | | | 0:2 | 0:1 | | | 3:0 | 2:2 | 1:0 | 1:1 | | 3:2 | 1:1 | | 24 | 5 | 5 | 14 | 23:36 | 20 | 3 | 3 | 5 | 12:13 | 12 | 2 | 2 | 9 | 11:23 | 8 |
| 18 | უიგანი | | | 0:2 | 1:2 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 5:3 | 0:2 | | | 1:0 | 1:0 | 3:0 | | | | | 1:1 | | 24 | 5 | 5 | 14 | 23:40 | 20 | 4 | 2 | 5 | 14:14 | 14 | 1 | 3 | 9 | 9:26 | 6 |
| 19 | ფულემი | | 0:3 | 1:2 | | | 3:3 | | 2:2 | 0:2 | | 3:3 | 0:1 | 1:2 | | 2:1 | 3:1 | | 1:1 | | 0:0 | 24 | 2 | 10 | 12 | 23:42 | 16 | 2 | 5 | 5 | 16:21 | 11 | 0 | 5 | 7 | 7:21 | 5 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 0:2 | | 1:1 | 1:2 | 1:2 | 2:2 | 0:5 | | 1:0 | 0:1 | | 1:1 | | 1:2 | 0:1 | | | 24 | 1 | 5 | 18 | 12:51 | 8 | 1 | 3 | 8 | 8:21 | 6 | 0 | 2 | 10 | 4:30 | 2 |

# მარტში დაკარგული თებერვალში გამოჩნდა

## მიხაელ ბალაკი გერმანიას დაუბრუნდა



**მიხაელ ბალაკი,** რომელსაც ნაკრებში მარტის აქეთ არ უთამაშია, იოახიმ ლიოვმა ავსტრიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. ბუნდესნაკრები მეზობელს 6 თებერვალს ვენაში ესტუმრება.

ბალაკმა 24 მარტს ჩეხეთთან შესარჩევ შეხვედრაში ითამაშა და მერე ტრავმა ტრავმაზე მიიღო. შედეგად მას თითქმის წელიწადი გაუცდა და „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში იანვარშიღა დაბრუნდა. გასულ ოთხშაბათს „უიგანთან“ ავრაამ გრანტის გუნდმა მისი გოლით მოიგო. „ძალიან გვიხარია, რომ მიხაელი საბოლოოდ გამოკეთდა და ჯანმრთელი დაგვიბრუნდა — თქვა იოახიმ ლიოვმა — კლუბში საუცხოოდ თამაშობს და ვიმედოვნებთ, რომ ნაკრებშიც ასე გააგრძელებს. როგორც კაპიტანი და ლიდერი, იგი ევრო 2008-ისთვის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იქნება“.

მწვრთნელმა ეროვნულ გუნდში ორ დებიუტანტსაც უხმო — შალკელ ჰაიკო ვესტერმანს და ჯერმენ ჯონსს. „ნაკრების მაისურას ორივე იმსახურებს კარგი თამაშის გამო — განაცხადა ლიოვმა — ჯონსს დიდი ხანია, ვაკვირდებით, კვიპროსთან და უელსთან მატჩებისთვისაც გამოვიძახეთ, მაგრამ ტრავმის გამო დაგვაკლდა. ახლა ალბათ ხელს აღარაფერი შეუშლის და ტორსტენ ფრინგსს ნახევარდაცვაში ღირსეულად შეცვლის“.

ფრინგსის გარდა გერმანელებს დაშავებული ჰყავთ კრისტოფ მეცელდერი, არნე ფრიდრიხი, მარსელ იანსენი, კლემენს ფრიცი, სერდარ ტაშჩი და კრისტიან პანდერი. წელმტკივანი ლუკაშ პოდოლსკის საქმე უკეთესობისკენ მიდის და ოთხშაბათისთვის მზად იქნება. „ბაიერნის“ ექიმებმა გვითხრეს, რომ 6 თებერვლისთვის პოდოლსკი საბოლოოდ გამოჯანმრთელდება, მაგრამ საჭირო თუ არ გახდა, არ გავრისკავთ და არ ვათამაშებთ“ — აღნიშნა ლიოვმა.

ევრო 2008-მდე გერმანია ავსტრიის შემდეგ შვეიცარიას, ბელარუსს და სერბეთს ამხანაგურად გაეჯიბრება.

***მეკარეები:*** *ტიმო ჰილდებრანდი, იენს ლემანი;*

***მცველები:*** *გონსალო კასტრო, მანუელ ფრიდრიხი, რობერტ ჰილბერტი, ფილიპ ლამი, პერ მერტეზაკერი, ჰაიკო ვესტერმანი;*

***ნახევარმცველები:*** *მიხაელ ბალაკი, ტომას ჰიცლშპერგერი, ჯერმენ ჯონსი, ლუკაშ პოდოლსკი, სიმონ როლფესი, ბერნდ შნაიდერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, პეტრ ტროხოვსკი;*

***თავდამსხმელები:*** *მარიო გომესი, მიროსლავ კლოზე, კევინ კურანი, ოლივერ ნოივილი.*

**ვაჟა ხუციშვილი**

# დიეგონოზი: იუვენტუსში!



**იტალიაში** გავრცელებული ხმების თანახმად, ტურინის „იუვენტუსი“ ბრემენის „ვერდერიდან“ დიეგოს გადასაბირებლად დიდძალი ფულის გაღებას გეგმავს. ტურინელთა გეგმის მიხედვით, მოლაპარაკებები მარტში უნდა დაიწყოს, ხოლო ტრანსფერი სეზონის დასრულების შემდეგ განხორციელდეს.

დიეგო, მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ვარსკვლავია, რომლის მიმართ ინტერესს „ბებერი ქალბატონის“ გარდა სხვა მდიდარი ევროპელი „ქალბატონებიც“ იჩენენ. „იუვეს“ პატრონები ზაფხულზე დიეგოს გარდა რამდენიმე სხვა ფეხბურთელის დამატებასაც აპირებენ, რათა მომავალ სეზონში სკუდეტოს ერთ-ერთი უპირობო და მთავარი კანდიდატები გახდნენ.

რომაული გაზეთის, „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, მარტში „იუვენტუსი“ დიეგოსთან პირად საკითხებზე, ანუ ხელფასსა და სხვა „წვრილმანებზე“ აპირებს დალაპარაკებას, „ვერდერისთვის“ კი ცალკე 40 მილიონ ევრომდეა გადადებული. რაც შეეხება დიეგოს გასამრჯელოს, შავ-თეთრები თავიდან მისთვის სეზონში ოთხმილიონნახევრამდე ევროს შეთავაზებას ფიქრობენ.

ცნობისათვის: დიეგო „ვერდერთან“ კონტრაქტით 2010 წლამდეა შეკრული. მართალია, ასაკიდან და ბრემენულ გუნდში თამაშის სტაჟიდან გამომდინარე, მას შეუძლია ფიფას წესდების მე-17 პუნქტით იხელმძღვანელოს და გერმანული გუნდი 2009 წლის ივნისში დატოვოს, მაგრამ 2009 წლის ივლისი კიდევ ერთი სეზონის შემდეგ არის, „იუვეს“ კი ბრაზილიელი ახლავე სჭირდება და ფულის გადახდასაც ამიტომ აპირებს.

**პაპუნა ძედია**

# გერმანია

## ჭიდაობა კვირას გაიმართება

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ჰანზა | : | ბაიერნი |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა* | | |
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | : | ლევერკუზენი |
| კარლსრუე | : | ნიურნბერგი |
| დუისბურგი | : | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | : | ჰანოვერი |
| ჰერტა | : | აინტრახტი |
| არმინია | : | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| შალკე | : | შტუტგარტი |
| ვერდერი | : | ბოხუმი |

**თვენახევრიანი** შესვენების შემდეგ ბუნდესლიგა გუშინ განახლდა, ტურის მთავარი მატჩი კი ხვალ გაიმართება — „შალკე“ „შტუტგარტს“ უმასპინძლებს. ეს გუნდები გასულ სეზონში ჩემპიონობისთვის ჭიდაობდნენ და მათი ხვალინდელი ჯახიც ამიტომაა საინტერესო. ბოლო შვიდ წელიწადში „შალკემ“ „შტუტგარტი“ შინ ექვსჯერ დაამარცხა და მხოლოდ ერთხელ დაუზავდა. პირველ წრეში კი მეტოქეთა შეხვედრა 2:2 დასრულდა. ტრავმის გამო „ხუმარებს“ მთავარმეგოლე კევინ კურანი დააკლდებათ და შეტევაში ალტინტოპი, ასამოა და ლოვენკრანდსი ითამაშებენ. „კიკერის“ ვერსიით, ლევან კობიაშვილი სათადარიგოებში იქნება.

| 15209 | ატლეტიკო-მურსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ალმერია-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | ბეტისი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ხეტაფე-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | უელვა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ალბასეტე-სერესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | ჰერკულესი-გრანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | კადისი-ტენერიფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | სევილია ბ-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | მალაგა -ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | ტარაგონა-კორდობა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15225 | სელტა-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | სოსიედადი-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15227 | ფეროლი-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | სპორტინგი-ლას პალმასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | ნუმანსია-ელჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | მეხელენი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | მონსი-მუსკრონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | რუზელარე-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ვესტერლო-ვარეგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | ექსელსიორი-გრააფსხაპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | ჰერაკლესი-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | ჰერენვენი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | ალკმაარი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15252 | უტრეხტი-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15253 | სპარტა-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | აიაქსი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | გრონინგენი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | დენ ჰააგი-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | ბოავიშტა-ფერეირა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | გიმარაეში-ლეიშოეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15274 | სეტუბალი-ნავალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | აკადემიკა-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | ბორდო-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ანჟე-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | ბასტია-ტური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | მარსელი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ლორიანი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | სედანი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16014 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2.45 | 1.40 |
| 16016 | უიგანი-ვესტ ჰემი | 1.80 | 1.85 |
| 16017 | ბირმინგემი-დერბი | 1.17 | 4.10 |
| 16018 | ბლეკბერნი-ევერტონი | 1.70 | 1.95 |
| 16019 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.10 | 1.60 |
| 16020 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.08 | 5.00 |
| 16022 | სიტი-არსენალი | 2.90 | 1.32 |
| 16023 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1.34 | 2.80 |
| 16024 | პორტსმუთი-ჩელსი | 3.60 | 1.24 |
| 16026 | რედინგი-ბოლტონი | 1.40 | 2.55 |
| 16037 | სტოკი-კარდიფი | 1.50 | 2.30 |
| 16038 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 1.55 | 2.20 |
| 16039 | ბლეკპული-ლესტერი | 1.70 | 1.95 |
| 16040 | ვესტ ბრომვიჩი-ბერნლი | 1.24 | 3.60 |
| 16041 | კოლჩესტერი-შეფილდი | 1.82 | 1.82 |
| 16042 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.45 | 2.45 |
| 16043 | კრისტალ პალასი-საუთჰემპტონი | 1.24 | 3.60 |
| 16044 | ნორვიჩი-პრესტონი | 1.40 | 2.55 |
| 16045 | პლიმუთი-ჰალი | 1.40 | 2.55 |
| 16046 | ქპრ-ბრისტოლი | 1.55 | 2.20 |
| 16047 | სკანთორპი-ჩარლტონი | 2.10 | 1.60 |
| 16048 | უენსდეი-იფსვიჩი | 1.55 | 2.20 |
| 16143 | კოტბუსი -ლევერკუზენი | 2.20 | 1.50 |
| 16145 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 1.62 | 2.05 |
| 16146 | დუისბურგი-დორტმუნდი | 2.10 | 1.60 |
| 16147 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.25 | 3.40 |
| 16149 | ჰერტა-აინტრახტი | 1.40 | 2.55 |
| 16150 | არმინია-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.95 |
| 16151 | შალკე-შტუტგარტი | 1.38 | 2.65 |
| 16165 | ჯენოა-კატანია | 1.38 | 2.65 |
| 16168 | პალერმო-ლივორნო | 1.22 | 3.40 |
| 16169 | ფიორენტინა-მილანი | 2.05 | 1.65 |
| 16170 | სიენა-რომა | 3.60 | 1.23 |
| 16172 | ლაციო-სამპდორია | 1.50 | 2.30 |
| 16173 | რეჯინა-ტორინო | 1.52 | 2.20 |
| 16174 | ნაპოლი-უდინეზე | 1.70 | 1.95 |
| 16175 | პარმა-ატალანტა | 1.52 | 2.20 |
| 16176 | ალბინოლეფე-ვიჩენცა | 1.14 | 4.70 |
| 16177 | მანტოვა-აველინო | 1.14 | 4.70 |
| 16178 | ტრიესტინა-კოზენცა | 2.30 | 1.45 |
| 16179 | ბრეშა-გროსეტო | 1.12 | 4.60 |
| 16180 | ტრევიზო-ლეჩე | 2.20 | 1.52 |
| 16181 | ჩეზენა-მესინა | 1.70 | 1.95 |
| 16182 | მოდენა-პიაჩენცა | 1.34 | 2.80 |
| 16183 | ფროზინონე-პიზა | 1.80 | 1.80 |
| 16184 | ასკოლი-რავენა | 1.22 | 3.40 |
| 16185 | ბარი-რიმინი | 1.70 | 1.95 |
| 16207 | სარაგოსა-ბილბაო | 1.30 | 3.00 |
| 16208 | ლევანტე-რასინგი | 2.30 | 1.48 |
| 16209 | ატლეტიკო-მურსია | 1.11 | 5.70 |
| 16211 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.24 | 3.60 |
| 16213 | ალმერია-რეალი | 3.60 | 1.23 |
| 16215 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 1.62 | 2.05 |
| 16216 | ბეტისი-დეპორტივო | 1.50 | 2.30 |
| 16217 | ხეტაფე-ესპანიოლი | 1.50 | 2.30 |
| 16218 | უელვა-სევილია | 2.20 | 1.52 |
| 16219 | ალბასეტე-სერესი | 1.55 | 2.20 |
| 16220 | ჰერკულესი-გრანადა | 1.55 | 2.20 |
| 16221 | კადისი-ტენერიფე | 1.52 | 2.20 |
| 16222 | სევილია ბ-სალამანკა | 1.45 | 2.45 |
| 16223 | მალაგა -ალავესი | 1.30 | 3.00 |
| 16224 | ტარაგონა-კორდობა | 1.52 | 2.20 |
| 16225 | სელტა-კასტელონი | 1.25 | 3.40 |
| 16226 | სოსიედადი-ეიბარი | 1.30 | 3.00 |
| 16227 | ფეროლი-ეხიდო | 1.55 | 2.20 |
| 16228 | სპორტინგი-ლას პალმასი | 1.32 | 3.00 |
| 16229 | ნუმანსია-ელჩე | 1.30 | 3.00 |
| 16233 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 1.22 | 3.40 |
| 16234 | მეხელენი-შარლერუა | 1.55 | 2.20 |
| 16235 | მონსი-მუსკრონი | 1.70 | 1.95 |
| 16236 | რუზელარე-გენკი | 1.95 | 1.65 |
| 16237 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 3.60 | 1.23 |
| 16239 | ვესტერლო-ვარეგემი | 1.30 | 3.00 |
| 16247 | ექსელსიორი-გრააფსხაპი | 1.75 | 1.85 |
| 16248 | ჰერაკლესი-ნაიმეგენი | 1.40 | 2.55 |
| 16249 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.17 | 4.10 |
| 16250 | ალკმაარი-პსვ | 2.20 | 1.52 |
| 16252 | უტრეხტი-ტილბურგი | 1.24 | 3.60 |
| 16253 | სპარტა-ვენლო | 1.32 | 3.00 |
| 16254 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1.32 | 3.00 |
| 16255 | გრონინგენი-როდა | 1.32 | 3.00 |
| 16265 | დენ ჰააგი-დენ ბოსხი | 1.55 | 2.20 |
| 16268 | ბოავიშტა-ფერეირა | 1.34 | 2.80 |
| 16272 | გიმარაეში-ლეიშოეში | 1.23 | 3.60 |
| 16274 | სეტუბალი-ნავალი | 1.25 | 3.40 |
| 16275 | აკადემიკა-მარიტიმუ | 1.70 | 1.95 |
| 16276 | ბელენენსეში-სპორტინგი | 2.30 | 1.48 |
| 16323 | ბორდო-ლე მანი | 1.24 | 3.60 |
| 16328 | ანჟე-ნიცა | 2.30 | 1.45 |
| 16329 | ბასტია-ტური | 1.80 | 1.85 |
| 16330 | მარსელი-მონაკო | 1.34 | 2.80 |
| 16331 | ლორიანი-რენი | 1.40 | 2.55 |
| 16333 | სედანი-ნანტი | 1.95 | 1.65 |

## გოლი:ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17014 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | უიგანი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ბირმინგემი-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ბლეკბერნი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | სიტი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17024 | პორტსმუთი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | რედინგი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | სტოკი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ბლეკპული-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | ვესტ ბრომვიჩი-ბერნლი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | კოლჩესტერი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | კრისტალ პალასი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | ნორვიჩი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | პლიმუთი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | ქპრ-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | სკანთორპი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | უენსდეი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | კოტბუსი -ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17146 | დუისბურგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ჰერტა-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | არმინია-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | შალკე-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ვერდერი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | იუვენტუსი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ჯენოა-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ინტერი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | პალერმო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | სიენა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ლაციო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17173 | რეჯინა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ნაპოლი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17175 | პარმა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ალბინოლეფე-ვიჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17177 | მანტოვა-აველინო | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ტრიესტინა-კოზენცა | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ბრეშა-გროსეტო | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ტრევიზო-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ჩეზენა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17182 | მოდენა-პიაჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ფროზინონე-პიზა | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ასკოლი-რავენა | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ბარი-რიმინი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ბოლონია-სპეცია | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | სარაგოსა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ლევანტე-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ატლეტიკო-მურსია | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ალმერია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ბეტისი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ხეტაფე-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | უელვა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ალბასეტე-სერესი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ჰერკულესი-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | კადისი-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | სევილია ბ-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17223 | მალაგა -ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ტარაგონა-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17225 | სელტა-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17226 | სოსიედადი-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17227 | ფეროლი-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17228 | სპორტინგი-ლას პალმასი | 1.85 | 1.95 |
| 17229 | ნუმანსია-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17231 | გენტი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | მეხელენი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17235 | მონსი-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17236 | რუზელარე-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17239 | ვესტერლო-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | ანდერლეხტი-დენდერი.... | 1.85 | 1.95 |
| 17247 | ექსელსიორი-გრააფსხაპი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | ჰერაკლესი-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ალკმაარი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17252 | უტრეხტი-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17253 | სპარტა-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17254 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | გრონინგენი-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17265 | დენ ჰააგი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ბენფიკა-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | გიმარაეში-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სეტუბალი-ნავალი | 1.85 | 1.95 |
| 17275 | აკადემიკა-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 17276 | ბელენენსეში-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17323 | ბორდო-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ანჟე-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ბასტია-ტური | 1.85 | 1.95 |
| 17330 | მარსელი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ლორიანი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17333 | სედანი-ნანტი | 1.85 | 1.95 |

# მწვრთნელებმა ვარსკვლავები ჩამოწერეს

 იმ ხუთეულებს, რომლებიც ნბა-ს ოლ სტარისთვის გულშემატკივრებმა გამოკითხვით შეარჩიეს, გუშინ მწვრთნელებმა სათადარიგოებიც დაამატეს და შეივსო გუნდები, რომლებიც 17 თებერვალს ნიუ ორლეანში გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

პირველად ბოლო 14 წლის მანძილზე ყველა ვარსკვლავის მატჩში არ ითამაშებს შაკილ ონილი, რომელსაც გამოკითხვაში ორლანდოელმა დუაიტ ჰოვარდმა გადაასწრო, ხოლო „აღმოსავლეთის" თავკაცმა დოკ რივერსმა ნბა-ს მრავალგზის ჩემპიონის და ცოცხალი ლეგენდის გუნდში აყვანაზე უარი თქვა. „ბოსტონის" მწვრთნელმა ონილს ამჯობინა ორი ნახევრადცენტრი — ტორონტოელი კრის ბოში და ვაშინგტონელი ანტუან ჯემისონი. ისიც სათქმელია, რომ როვერსმა „ბოსტონიდან" მხოლოდ პოლ პირსი შემატა აღმოსავლელ ვარსკვლავებს.

დასავლეთის ნიუორლეანელმა თავკაცმა ბაირონ სკოტმა თავისი გუნდიდან 2 კაცი აიყვანა ვარსკვლავთკრებულში — დევიდ ვესტი და კრის პოლი. ეს უკანასკნელი ხუთეულში თამაშსაც კი იმსახურებდა, მაგრამ ნბა-ს აღიარებულ და სტაჟიან სუპერვარსკვლავებს — კობი ბრაიანტს და ალან აივერსონს — გულშემატკივართა გამოკითხვაში ვერ აჯობა.

მაშ ასე, 17 თებერვალს ნიუ ორლეანში დიდი სანახაობა იქნება. ჩატენვების, სამქულიანების და სხვა კონკურსების ბოლოს უმთავრესი მატჩი გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**



შაკილ ონილი კარიერაში პირველად ვერ ივარსკვლავებს

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| ხუთეული | ხუთეული |
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | ალან აივერსონი (დენვერი) |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | კარმელო ენტონი (დენვერი) |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | იაო მინი (ჰიუსტონი) |
| სათადარიგონი | სათადარიგონი |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | სტივ ნეში (ფინიქსი) |
| რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | კრის პოლი (ნიუ ორლეანი) |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | ბრენდონ როი (პორტლენდი) |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | კარლოს ბუზერი (იუტა) |
| ანტუან ჯემისონი (ვაშინგტონი) | დირკ ნოვიცკი (დალასი) |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) |
| კრის ბოში (ტორონტო) | ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

31 იანვარი

**დეტროიტი 90:89 ლეიკერსი**
დეტროიტი: პრინსი (22), ბილაპსი (16), ჰემილტონი (14)
ლეიკერსი: ბრაიანტი (39 ქულა, 10 მოხსნა), ფიშერი (15), ტიურაფი (12)

**ბოსტონი 96:90 დალასი**
ბოსტონი: პირსი (26), ალენი (26), რონდო (14 ქულა, 12 მოხსნა), პოუზი (13)
დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა), ჰოვარდი (19), ტერი (13)

**სიეტლი 101:95 კლივლენდი**
სიეტლი: ბიურანტი (24), ვილკოქსი (18 ქულა, 13 მოხსნა), გრინი (17), ტომასი (16)
კლივლენდი: ჰიუზი (28), ილგაუსკასი (17), ჯონსი (15)

**ფინიქსი 81:84 სან ანტონიო**
ფინიქსი: მერიონი (21 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (17), სტუდემაიერი (16)
სან ანტონიო: ჯინობილი (19), ვონი (17), დანკანი (16 ქულა, 17 მოხსნა)

Euroleague

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 30-31 იანვარი

**A ჯგუფი**

**ვირტუსი 68:92 ცსკა**
ვირტუსი: სპენსერი (20), ენდერსონი (19)
ცსკა: ანდერსენი (15), გორეე (12)

**პროკომი 79:68 ოლიმპია**
პროკომი: გუროვიჩი (22), სლანინა (18)
ოლიმპია: პუკიჩი (16), გორენცი (10)

**ტაუ 84:66 ჟალგირისი**
ტაუ: სპლიტერი (23), რაკოჩევიჩი (20)
ჟალგირისი: მასიულისი (17), იანკუნასი (12)

**ოლიმპიაკოსი 73:80 სიენა**
ოლიმპიაკოსი: ჯექსონი (23), გრირი (14)
სიენა: მაკანტირი (19), ლავრინოვიჩი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 12 | 2 | +181 | 26 |
| სიენა | 14 | 10 | 4 | +124 | 24 |
| ტაუ | 14 | 9 | 5 | +119 | 23 |
| ჟალგირისი | 14 | 8 | 6 | -16 | 22 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 7 | 7 | +86 | 21 |
| ოლიმპია | 14 | 4 | 10 | -117 | 18 |
| პროკომი | 14 | 4 | 10 | -170 | 18 |
| ვირტუსი | 14 | 2 | 12 | -207 | 16 |

**B ჯგუფი**

**უნიკახა 87:77 ეფესი**
უნიკახა: ჰაისლიპი (23), კაბეზასი (14)
ეფესი: ჰატსონი (17), გონლუმი (13)

**არისი 94:101 მაკაბი**
*ძირითადი დრო: 86:86*
არისი: მესი (22), ბოისა (22 წუთი; 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა)
მაკაბი: ფიზერი (28), მორისი (13)

**ციბონა 79:86 ლიეტუვოს რიტასი**
ციბონა: კელი (18), ჰოსკინი (15)
რიტასი: ბაირამოვიჩი (19), პრაისი (16)

**მილანი 63:83 ლე მანი**
მილანი: უატსონი (18), ჯენტილე (12)
ლე მანი: ბოგდანოვიჩი (17), რიჩი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიტასი | 14 | 11 | 3 | +128 | 25 |
| მაკაბი | 14 | 11 | 3 | +54 | 25 |
| უნიკახა | 14 | 10 | 4 | +117 | 24 |
| ეფესი | 14 | 8 | 6 | +26 | 22 |
| არისი | 14 | 7 | 7 | -18 | 21 |
| ციბონა | 14 | 4 | 10 | -108 | 18 |
| მილანი | 14 | 3 | 11 | -92 | 17 |
| ლე მანი | 14 | 2 | 12 | -107 | 16 |

**C ჯგუფი**

**ბროსე 65:69 ბარსელონა**
ბროსე: სუპუტი (17), ფენი (10)
ბარსელონა: ლაკოვიჩი (15), ილიასოვა (12)

**ფენერბაჩე 86:91 პარტიზანი**
ფენერბაჩე: სოლომონი (22), ონანი (15)
პარტიზანი: პეკოვიჩი (20), ტეპიჩი (17)

**რეალი 95:87 პანათინაიკოსი**
*ძირითადი დრო: 83:83*
რეალი: ბალოკი (22), პაპადოპულოსი (14)
პანათინაიკოსი: სპანულისი (22), ბატისტე (13)

**რომა 67:74 როანი**
რომა: უკიჩი (19), ლორბეკი (10)
როანი: ბადიანე (22), ჰესი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 14 | 12 | 2 | +122 | 26 |
| რეალი | 14 | 11 | 3 | +122 | 25 |
| ბარსელონა | 14 | 9 | 5 | +91 | 21 |
| ფენერბაჩე | 14 | 6 | 8 | -26 | 20 |
| პარტიზანი | 14 | 6 | 8 | -3 | 20 |
| რომა | 14 | 6 | 8 | -25 | 20 |
| როანი | 14 | 4 | 10 | -120 | 18 |
| ბროსე | 14 | 2 | 12 | -161 | 16 |

# მეთექვსმეტე პარტიზანი

**ხუთშაბათ** საღამოს დასრულდა ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი, რომელმაც გამოავლინა ის მეთექვსმეტე გუნდი, ბრძოლას რომ გააგრძელებს.

ეს უნდა გამორკვეულიყო ბოლო ტურის წინ სამივე ჯგუფის მეექვსეადგილოსნებს შორის, რაკილა მოწინავე ხუთეულებს ამ ტურამდეც განაღდებული ჰქონდათ მომდევნო ეტაპის საგზური.

ზღვარზე მყოფთაგან დაწინაურებული იყო ბელგრადის „პარტიზანი", რომელიც მოცილე „ციბონასა" და „ოლიმპიას" ქულით უსწრებდა და ბოლო ტურში ნებისმიერი სხვაობით გამარჯვება აძლევდა ხელს. ბელგრადელებს წაგების შემთხვევაშიც რჩებოდათ გასვლის შანსი, ოღონდ ჩაგდებულ-მიღებული ბურთების სხვაობაზე იქნებოდნენ დამოკიდებული, თუმც სერბებმა თავი არ აიტკივეს და თურქეთში „ფენერბაჩეს" ძლევით მომდევნო ეტაპის საგზური ჩაიჯიბეს.

ჩვენთვის საინტერესო ამბავი კი სალონიკურ მატჩში მოხდა, სადაც „არისმა" ოვერტაიმში დათმო „მაკაბისთან". საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ ბერძნულ კლუბში 22 წუთი ითამაშა და 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ეს იყო ბოისას ყველაზე ბარაქიანი მატჩი ევროლიგაში, რაც „არისში" გადავიდა.

მეორე ეტაპის კენჭისყრა, სადაც 16 გუნდი 4 ჯგუფში უნდა გადანაწილდეს, ზეგ მადრიდში გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil
№1 საავტომობილო ზეთი

# კოქტეილი, რომელმაც შოუ უნდა დაამშვენოს

## ფერნანდო ალონსო: სადღაც ერთი წამი უნდა მოვიპაროთ



ფერნანდო ალონსო, ფლავიო ბრიატორე და ნელსონ პიკე უმცროსი

**წლევანდელი** საპირველფორმულო სეზონისთვის განკუთვნილი ახალი „რენო" R28 საზოგადოებამ ჯერ კიდევ წინა კვირაში, ვალენსიაში გამართული ტესტებისას იხილა, მაგრამ ახალი ბოლიდის პრეზენტაცია 31 იანვარსღა შედგა პარიზში.

2008 წლის „რენო" კვლავაც შარშანდელ ფერებშია შეღებილი და გუნდის სატიტულო სპონსორიც ისევ სადაზღვევო კომპანია ING გახლავთ. სხვა მხრივ კი, როგორც პრეზენტაციისას ფრანგული საჯინიბოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ახალი მანქანა ძველს გაცილებით სჯობს და „რენო" შარშან დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ეცდება, ანუ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

რენოელთა ოპტიმიზმს ისიც აძლიერებს, რომ ერთწლიანი განშორების შემდეგ გუნდში დაბრუნდა ფრანგული მანქანით ორი საჩემპიონო ტიტულის მომპოვებელი ესპანელი ფერნანდო ალონსო, ვისაც პარტნიორობას ლეგენდარული ბრაზილიელის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნელსონ პიკეს ვაჟი ნელსონ პიკე უმცროსი გაუწევს, ხოლო ტესტ-პილოტი ფრანგი ლუკას დი გრასი იქნება.

ბერნარ რეი, გუნდის პრეზიდენტი: „იმედი გვაქვს, რომ „რენო" თავის ადგილს დაიბრუნებს და პელეტონში პირველობისთვის იბრძოლებს. ალონსოს დაბრუნება გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი".

პრეზიდენტს მხარი „რენოს" ტექნიკურმა დირექტორმა ბობ ბელმაც აუბა: „2007 წელი, ჩვენი სტანდარტების გათვალისწინებით, უაღრესად წარუმატებელი იყო. ახალი სეზონისგან ძალზე ბევრს ველით. ჩვენი ამოცანაა, პილოტებს კონკურენტუნარიანი მანქანა მივცეთ და ვფიქრობ, რომ ასეც იქნება. მთელი ჩვენი გუნდი მუხლჩაუხრელად შრომობდა პრობლემების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ბოლიდის აეროდინამიკას, შევცვალეთ წინა ანტიფრთა და წინა დაკიდულობის სისტემა. პირველი ტესტებისას გამოჩნდა, რომ მანქანა საიმედოა და გვჯერა, რომ უფრო წინ წავალთ".

ფრანგული საჯინიბოს მთავარი კაცი კვლავაც ფლავიო ბრიატორეა, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, დასვენება მინდა, მაგრამ სანამ სამეფო რბოლებიდან წავიდოდე, „რენო" ერთხელაც უნდა გავხადო ჩემპიონი. „ვფიქრობ, რომ პოდიუმებისა და დიდი პრიზებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. გვინდა, რომ შოუს მთავარი გმირები ვიყოთ. ჩემპიონატს მხოლოდ ერთი გამარჯვებული ჰყავს და აქედან გამომდინარე, ამოცანა ურთულესია, მაგრამ ყველა ეტაპზე მოგებისთვის ვიბრძოლებთ — ბრძანა ბრიატორემ პრეზენტაციისას და დაამატა — ჩვენ გვაქვს იმის ძალა, რომ შარშანდელი იმედგამაცრუებელი სეზონი გადავხარშოთ. ახალი მანქანა გუნდის მიმართულებას შეცვლის და თუ ამ ყველაფერს ალონსოსაც დავამატებთ, გვარიანი კოქტეილი უნდა გამოვიდეს. გაიხსენეთ, შარშან ჩვენ მესამენი ვიყავით და ეს ცუდი მანქანით. წლეულს კარგი მანქანა გვექნება და გვეყოლება პილოტი, რომელმაც იცის, როგორ გახდეს ჩემპიონი".

ოპტიმისტურადაა განწყობილი თავად ალონსოც, თუმც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ის აღელვებს, რომ ვალენსიური ტესტებისას „რენო" „ფერარიზე" და „მაკლარენზე" ნელი იყო. „ბრწყინვალე ბოლიდია! პირველი შთაბეჭდილებები მშვენიერია და მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას. თუმც ისიც სათქმელია, რომ სამუშაო ჯერ ბევრი გვაქვს. ამ ეტაპზე საჭიროა „მაკლარენთან" და „ფერარისთან" ჩამორჩენის მაქსიმალურად შემცირება. უპირველესი ამოცანა სწორედ ეს არის. თუ მეტოქეს წამის ორიოსამი მეათედით ჩამორჩები, ამის გამოსწორება რთული არ არის, მაგრამ როდესაც სხვაობა წრეზე წამს შეადგენს, როგორც ჩვენს შემთხვევაშია, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა" — განაცხადა ესპანელმა.

ალონსოსგან განსხვავებით, უმცროსმა პიკემ პრეზენტაციისას სულ სხვა საკითხებზე ისაუბრა: „მთელი შარშანდელი სეზონი „რენოში" გავატარე. მართალია, დიდ პრიზებზე არ მირბოლია, მაგრამ გუნდში ყველა გავიცანი და აი, უკვე საპრიზო პილოტი ვარ. თანაც, ჩემი პარტნიორი ალონსოა და ვფიქრობ, მისგან ძალზე ბევრს ვისწავლი".

**კახა ლომაძე**

ქვარციტი QUARTZITE

ევროპის ერთა თასი

## საქართველო — პორტუგალია

თბილისი. 2 თებერვალი. «მიხეილ მესხი». 16 საათი

# როცა კაპიტანიც ნერვიულობს

გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე მატჩისწინა პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების შეკითხვებს პორტუგალიის და საქართველოს ნაკრებების წარმომადგენლებმა უპასუხეს. დღევანდელ ჯახზე და გუნდებში არსებულ ვითარებაგანწყობაზე პორტუგალიელთაგან მთავარმა მწვრთნელმა ტომაშ მორაეშმა და გუნდის კაპიტანმა ჟოაო კორეიამ ისაუბრეს, ხოლო ქართველთაგან — მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა და კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ.



ჟოაო კორეია, ტომაშ მორაეში, ტიმ ლეინი, ირაკლი აბუსერიძე

პირველი კითხვები ტიმ ლეინს დაუსვეს...

— რა თქმა უნდა, სამ დღეში ბევრი ვერაფერი მოვასწარით, თან ცუდი ამინდები დაემთხვა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეგვიშალა. ახალგაზრდა მოთამაშეებიც დავიმატეთ, რამაც შეთამაშების პრობლემა შეგვიქმნა. დროთა განმავლობაში ესეც გამოსწორდება. მაგრამ საქართველოს ნაკრებში ბევრი პროფესიონალი მორაგბეა და ამიტომ ამ მატჩს, ვფიქრობ, მოვიგებთ. მთავარია, რომ ქართველ მორაგბეებში დიდი პოტენციალი დავინახე და თუ სწორი მიმართულებით ვიმუშავებთ, გპირდებით, შედეგიც არ დააყოვნებს. ახალი სტილის დანერგვასაც ვგეგმავ, მაგრამ ამ თამაშისთვის რადიკალურ ცვლილებებს არ განვახორციელებ.

— თქვენ შემტევი და ლაღი რაგბის მიმდევარი ხართ, საქართველოს ნაკრების კოზირი კი შერკინებაა. პორტუგალიასთან რამდენად დაეტყობა თქვენი სტილი გუნდს?

— ხაზზე თამაშის გამოსწორებას ვაპირებ, მაგრამ ამ მომენტში არც შერკინებით მიწოლაზე ვიტყვი უარს. ხელდახელ მაღალ დონეზე თამაშის მიღწევას წლების შრომა სჭირდება, ჩვენ კი კონკრეტული მატჩისთვის შედეგი გვჭირდება. ასე რომ, შევეცდებით, მოვიგოთ და თან ხელდახელ თამაშიც დავხვეწოთ.

საუბარში *ირაკლი აბუსერიძეც ჩაერთო:*

— ძნელია, მწვრთნელმა მცირე დროში რამე განსაკუთრებული შესთავაზოს გულშემატკივარს, მით უმეტეს, რომ გუნდში მრავალი ახალგაზრდა მორაგბე მოვიდა. ბევრს თავადაც არ ვიცნობდი. შეუთამაშებლები ვართ და გამოგიტყდებით, ამის გამო ძალიან ვნერვიულობ. საბედნიეროდ, მოწინააღმდეგესაც იგივე პრობლემები აწუხებს. ერთს კი ვიტყვი, რომ ხვალინდელ მატჩს აუცილებლად მოვიგებთ.

*ტომაშ მორიაშმა* კი ნაკრები შეგვიქო და ამინდი დაგვიწუნა:

— მოგესალმებით ყველას და მივესალმები ქართველ გულშემატკივრებს. „მადლობას" გიხდით ამინდის გამო. რაც შეეხება თქვენს ნაკრებს, ყველამ განახათ მსოფლიოს თასზე და თქვენს სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარება. ჩვენთვის ეს მატჩი ძალიან რთული იქნება.

— მსოფლიოს თასზე თქვენც იყავით. მაშინდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ხუთი მორაგბე ჩამოიყვანეთ თბილისში. სხვები რატომ არ ჩამოვიდნენ?

— ჩვენი ლეგიონერების უმეტესობა საფრანგეთშია და ისინი კლუბების ხელმძღვანელობამ არ გამოუშვა. მათი დახმარება მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე უფრო დაგვჭირდება.

— პორტუგალია მსოფლიოს თასზე ეფექტურად გამოვიდა. ამის გამო სახელმწიფოს მხრიდან რაგბისადმი მიდგომა თუ შეიცვალა?

— დიახ, შეიცვალა. პრესაში მეტი ყურადღება გვეთმობა. სპონსორებიც მომრავლდნენ, მაგრამ უფრო მეტია საჭირო. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ, რომ ჩვენ და ესპანეთმა საერთო ლიგა გავაკეთოთ. ლიგაში სავარაუდოდ 6 ესპანური და 4-5 პორტუგალიური კლუბი იქნება. ევროპის საკლუბო ტურნირებზეც გვინდა გასვლა.

*ჟოაო კორეია:*

— ძლიერი გუნდი გყავთ, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, ჩვენი თამაში ვაჩვენოთ. ვნახოთ, ყველაფერი მოედანზე გაირკვევა.

**ზურაბ მიგრიაული**

| ევროპის ერთა თასი 2007-08 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +71 | 6 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 4 |
| ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

| საქართველო VS პორტუგალია | | |
|---|---|---|
| ირაკლი ყიასაშვილი | 15 | ვასკო გასპარ... |
| ბესიკ ხამაშურიძე | 14 | ადერიტო ესტევეში |
| დავით კაჭარავა | 13 | უგო მელო |
| რევაზ გიგაური | 12 | ფრანსისკო მირა |
| ირაკლი ჩხიკვაძე | 11 | გონსალო ფორიო |
| მერაბ კვირიკაშვილი | 10 | პედრო კაბრალი |
| ირაკლი აბუსერიძე (კაპ) | 9 | ფრანსისკო მაგალიანეში |
| დიმიტრი ბასილაია | 8 | ტიაგო გირაუ |
| რატი ურუშაძე | 7 | ანტონიო დუარტე |
| შალვა სუთიაშვილი | 6 | ჟუან სევერინო |
| კახა უჩავა | 5 | სებასტიანო კუნია |
| ლევან დათუნაშვილი | 4 | ედუარდო აკოსტა |
| დავით ქუბრიაშვილი | 3 | ჟუან მურე |
| დავით დადუნაშვილი | 2 | ჟოაო კორეია (კაპ) |
| გოდერძი შველიძე | 1 | როდრიგო აგიარი |
| სათადარიგონი: | | |
| ირაკლი ნატრიაშვილი | 16 | გუსტავო დუარტე |
| ანტონ ფეიქრიშვილი | 17 | დიოგო ფიალიუ |
| ზვიად მაისურაძე | 18 | მანუელ სომერ რიბეირუ |
| გიორგი ჩხაიძე | 19 | ფრანსის ფრაგატეირუ |
| ბიძინა სამხარაძე | 20 | ლორენცო კადოში |
| ლაშა მალალურაძე | 21 | ბერნანდო დუარტე |
| ოთარ ბარკალაია | 22 | დიოგო მირანდა |

*მსაჯები: დე სანტისი; ორლანდინი, ბონაჩი. კომისარი: პიეტრო მევა (ყველა იტალია)*



სანამ პრესკონფერენცია მიმდინარეობდა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა მოედანი გადათოვლეს

# მსოფლიომოვლილი ექვსი ერი

**დღეიდან** ბებერ კონტინენტზე ელიტარული ექვსი ერის პირველობა იწყება. ევროპული ბობოლა ნაკრებები თავდაუზოგავ ჯახებს გამართავენ. ნამსოფლიოსთასარი და ახალსისხლგადასხმულები გუნდები ცინცხალი იდეებით გაარკვევენ ევროპულ ელიტაში უპირველესის ვინაობას. ტურნირის პირველ წრეში ირლანდია — იტალიის, ინგლისი — უელსის და შოტლანდია — საფრანგეთის ჯახებია და შეხვედრებიც შესაბამისი თანმიმდევრობით ჩატარდება. მოდით, თავიდან დავიწყოთ და ირლანდია-იტალიის მომავალ მატჩზე ვისაუბროთ...

ორივე გუნდი მსოფლიო თასზე, რბილად რომ ითქვას, არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა. ირლანდიის „საქმენი საგმიროჲნი" რაგბის ქართველ ქომაგთ კარგად მოეხსენებათ. საქართველოს ნაკრებისგან კინაღამ წაქცეული „სამყურების" ფრანგულ ვოიაჟს ბრიტანულმა პრესამ სულ ბოლი ადინა. ირლანდიის მთავარ მწვრთნელს ედი ოსალივანს პროვინციელი ოსტატი უწოდეს, ხოლო სუპერვარსკვლავ ბრაიან ოდრისკოლს — უნიათო მობურთალი. მას მერე გუნდში ბევრი არაფერი შეცვლილა. ნაკრების მთავარ გამწევ ძალად ისევ ოდრისკოლი და რონან ოჰარა ითვლებიან. იტალიამ მსოფლიოს თასზე თავი შეირცხვინა. ლურჯების რაგბობა საშინელი გახლდათ. მათ ვერც ერთ კომპონენტში ვერ ივარგეს და საეჭვოა, ამჯერადაც რამეს მიაღწიონ. 2000 წლის შემდეგ ირლანდიამ ყველა თამაში მოუგო იტალიას და ალბათ ახლაც იგივე მოხდება.

ინგლისის ნაკრების სუსტ და ძლიერ მხარეებზე დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო, მაგრამ რაც ახლა ალბიონელებს ყველა გუნდისგან გამოარჩევს, ეს ზემძლავრი შერკინება და მებრძოლი სულია. თვიქნემში უელსს ინგლისისთვის 1988 წლის შემდეგ არ მოუგია და „დრაკონები" ალბათ ვერც ახლა მოწყვიტავენ ციდან ვარსკვლავებს. ბრაიან ეშტონის ინგლისი დაცვით სტილს თამაშობს და ლელოს გატანაც უჭირს. ერთი კია, რომ ჯონი უილკინსონი ისევ გუნდშია და მისი ჯადოსნური ფეხების სჯერათ, თორემ „ვარდებზე" ამდენი ავანსი არ გაიცემოდა.

უელსის ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. უორენ გეტლანდის პროფესიონალიზმში ეჭვს ვერავინ შეიტანს. მან სხვა მრავალ ტიტულთან ერთად „ვოფსს" შარშან ჰაინეკენის თასიც მოაგებინა.

დაბოლოს, შოტლანდია — საფრანგეთი. როგორც ყოველთვის, საფრანგეთი უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს, მაგრამ ამჯერად საკმაოდ უცნობი მარკ ლივრემონის დამრიგებლობით. ფრანგებს გადახალისებული შემადგენლობა ჰყავთ და ნიჭიც მოსდევთ. როცა ბურთი „მამლებს" აქვთ, ძნელია მათი შეჩერება. ისე დაიწყებენ და დაამთავრებენ, რომ უკეთესს რაგბის გულშემატკივრის თვალი ვერ იხილავს. ერთი ეგაა, რომ თავდაჯერება აკლიათ და თუ მოვლენები მათ საწინააღმდეგოდ განვითარდა, სულ აირევიან ხოლმე. ვნახოთ, შოტლანდიასთან გასვლაზე თამაში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

შოტლანდია კი, როგორც ყოველთვის, „მამაცი გულებითაა" დაკომპლექტებული. ძლიერი შერკინება და დაცვაში დამაჯერებელი თამაში მათი უპირველესი თვისებებია. სამაგიეროდ, ბრიტანელებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც მატჩის ბედს გადაწყვეტს. შოტლანდიელთა ბანაკში ტრავმიანობაცაა და წინასწარ პროგნოზის გაკეთება ძნელია.

**ზურაბ მიგრიაული**

ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფი
ბუდაპეშტი. უნგრეთი. 30 იანვარი — 3 თებერვალი

C ჯგუფი

**სლოვენია 2:0 საქართველო**

1:0. პოლონა შერცოგი — ეკა გორგოძე 6:7 7:6 7:5
2:0. ანდრეა კლეპაჩი — ოქსანა კალაშნიკოვა 6:1 5:7 6:3
*წყვილთა შეხვედრა აღარ გაიმართა*

**შვედეთი 2:1 ბელარუსი**

1:0. იოანა ლარსონი — დარია კუსტოვა 6:3 6:1
2:0. სოფია არვიდსონი — ოლგა გოვორცოვა 6:2 6:2
2:1. ეკატერინა ბოშუში, ტანია პუჩეკი — არვიდსონი, ლარსონი 6:4 6:2

# აუტამდე პლეი აუტია

**არ** გამოვიდა. ბოლომდე კი იბრძოლეს და კორტზე თავი დადეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ და ფედერაციის თასის ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად პლეი აუტში მოუწევთ თამაში.

ლალი ზერეკიძის დამოძღვრილი საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებისთვის შანსი სლოვენიასთან მატჩი იყო. მანამდე, ბელარუსებთან და შვედებთან, რეიტინგის მიხედვით ექვსი საუკეთესო ჩოგბურთელის გარეშე მყოფმა ჩვენებურებმა უიმედოდ წააგეს. ერთი ეგ იყო, ამ ბელარუსებთან და შვედებთან თავიანთი ლიდერის, კატერინა სრებოტნიკის გარეშე მოთამაშე სლოვენიელებიც დამარცხდნენ და ამ ორი ორწაგებიანი გუნდის გუშინდელ თამაშში ირკვეოდა, თუ ვინ შეინარჩუნებდა ჯგუფში ადგილს და ვის მოუწევდა პლეი აუტში ნერვების წყვეტა.

ბუდაპეშტში სლოვენიელებს სრებოტნიკი არ ჰყავდათ, ხოლო ქართველებს, როგორც ვთქვით, მთელი ნახევარი დუჟინი მოწინავე ჩოგბურთელების და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ — ზერეკიძის გუნდისთვის მატჩმა ინტერესი, უკვე ერთეულთა შეხვედრების შემდეგ დაკარგა. თუმცა თინეიჯერებს, ეკა გორგოძესა და ოქსანა კალაშნიკოვას გარჯას ნუ დავუკარგავთ. ეკას ძალზე ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე — პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, მეორეში ისევ ტაიბრეიკი იყო, ოღონდაც საჩოგბურთო ლატარიამ, უკვე სლოვენიელს გაუღიმა და მესამე პარტიის ბედიც სულ ბოლოს გადაწყდა.

სამ სეტს გაგრძელდა ოქსანა კალაშნიკოვასა და რეიტინგის მეორე ასეულში მყოფ ანდრეს კლეპაჩის მატჩიც და სამწუხაროდ, გადამწყვეტი, მესამე პარტია აქაც მეტოქემ მოიგო.

...რაღა დარჩა, პლეი აუტი, მისი ჯანი და იმედი, რომ იღბალი ახლა მაინც იქნება ქართველების მხარეს.


ეკა გორგოძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# მოულოდნელობა მოსალოდნელი არ არის

**ამ უქმეებზე** 2008 წლის ფედერაციის თასის პირველი ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. ტრადიციისამებრ, ამ ეტაპზე დაძაბული ბატალიები იმართება ხოლმე, მაგრამ წლეულს ყველა წყვილში იმდენად აშკარადაა ფავორიტი გამოკვეთილი, რომ საეჭვოა, სადმე მეტ-ნაკლებად თანაბარი დაპირისპირება შედგეს. თუმც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ფედერაციის თასის მოქმედ ჩემპიონ რუსეთით დავიწყოთ, რომელიც ტიტულის დაცვას ისრაელში იწყებს. სლავების გამარჯვებაში თითქმის ყველა დარწმუნებულია და რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, მასპინძლები შემდეგ ეტაპზე გავიდნენ კი არა, ქულას მაინც გამორჩნენ.

რუსებმა, როგორც ყოველთვის, ძალიან სოლიდური შემადგენლობა შეკრიბეს, მიუხედავად იმისა, რომ დასვენება ითხოვეს სვეტლანა კუზნეცოვამ და ელენა დემენტიევამ. სამაგიეროდ, ნაკრებში დებიუტი ექნება ავსტრალიის ღია პირველობაზე გაჩემპიონებულ მარია შარაპოვას. მის გარდა, შამილ ტარპიშევმა ტოპ-ათეულის კიდევ ერთ წევრ ანა ჩაკვეტაძეს, ასევე დინარა საფინასა და ელენა ვესნინას უხმო.

ამ ოთხეულის წინააღმდეგ ებრაელთა ყველაზე ძლიერი იარაღი მსოფლიოს მე-17 ჩოგანი შაჰარ პირია, რომელსაც ციპორა ობზილერი შეეხიდება. მათ გარდა მასპინძლებს არც ერთი საშუალო დონის მეჩოგნეც კი არ ჰყავთ.

თუმც თავად ებრაელები, რომელთა მსოფლიოს ჯგუფში გამოჩენაც კი ნამდვილი სენსაცია იყო, საბრძოლველად არიან განწყობილნი და პირდაპირ ამბობენ — დასაკარგი არაფერი გვაქვს და რუსებს ბოლომდე ვეომებითო.

აშკარა ფავორიტების რანგში დახვდებიან ჩინელები ფრანგებს, რადგანაც გალებს აზიაში მთავარი ხალხი არა ჰყავთ. ამელი მორესმო ფორმაში ვერ არის და ნაკრების კაპიტან ჟორჟ ჟოვენს დაეთხოვა. ტრავმა აქვს ტატიანა გოლოვინს. აი, მარიონ ბარტოლიმ კი ვერაფრით მოაგვარა უთანხმოება საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებთან და ნაკრებში ამის გამო არ ითამაშებს. შედეგად, სტუმრები ვირჟინი რაზანოსა და 18 წლის ალიზ კორნეს იმედზე არიან. სამაგიეროდ, ჩინელებმა ყველა უძლიერესს მოუყარეს თავი და განსაკუთრებით გამოჯანმრთელებული ნა ლის ეიმედებათ.

ნაკლებად წარმოსადგენია ამერიკელთა მარცხიც, რომლებიც კალიფორნიაში გერმანელებს დაუხვდებიან. მართალია, იანკებს შავდა უილიამსები არ ეყოლებათ, მაგრამ სამაგიეროდ ნაკრებში დაბრუნდა ლინდსი დევენპორტი, რომელიც შეიძლება ვერც ძველებურად ჩოგნაობდეს და ასაკშიც იყოს, მაგრამ ტატიანა მალეკს და ანა-ლენა გრონეფელდს ნებისმიერ მდგომარეობაში მოერევა.

სხვებთან შედარებით, იტალია — ესპანეთის წყვილი ყველაზე თანაბრად მოჩანს. თუმც აქაც მასპინძლების გამარჯვებაზე ფსონის ჩასვლა თავისუფლად შეიძლება — ფედერაციის თასის შარშანწინდელმა მფლობელებმა და შარშანდელმა ფინალისტებმა კარგად შეთამაშებული შემადგენლობის შეკრება მოახერხეს, რის გამოც საეჭვოა, პირინეელებმა მათ რამე მოუხერხონ.

**კახა ლომაშვილი**



# მარადიული პრობლემა: უწყლო წყალბურთი
## ნაკრები ისევ კლუბის მოლოდინშია

**დღეს** საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინაში გაემგზავრება და იქაური ღია პირველობის მეორე ტურის მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენები საწყისი ტურის შემდეგ მეორე ადგილზე არიან და ოდენ ორი ქულით ჩამორჩებიან ადგილობრივ „მარიუპოლს“.

როგორც ხშირად, ნაკრებს ახლაც აუზის პრობლემა ჰქონდა და სულ ორი კვირაა, რაც ბიჭები ვარჯიშობენ. ასევე ფინანსურ სიდუხჭირის გამო ვერ მოხერხდა ლეგიონერთა ჩამოყვანა და ერთადერთი, ვინც გუნდს ამ სტატუსით დაეხმარება, პავლე ჯაფარიძეა („ჰანოვერი“ გერმანია).

მის გარდა უკრაინაში ითამაშებენ — ბექა ქენქაძე, ზურა ჭუმბურიძე, სანდრო ხვედელიანი, დათო ბაქრაძე, გიორგი ჯოხაძე, ზურა რურუა, კოტე გეგელაშვილი, სანდრო ჭრელაშვილი, სანდრო რუსიშვილი, ლუკა ტუკვაძე და გიორგი საბაშვილი.

უფრო დაწვრილებით ნაკრების ამბებზე მწვრთნელმა *სოსო მაისურაძემ* გვიამბო.

— ორი კვირაა, რაც ვარჯიში დავიწყეთ. მანამდე ამის საშუალება არ გქვონდა. ახლა სკა-ს აუზზე ვვარჯიშობთ, უკრაინიდან ჩამოსვლის მერე, ალბათ „ქარიშხალას“ დავუბრუნდებით, ამჟამად იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. უფულობის გამო მხოლოდ ერთი ლეგიონერი მიგვყავს.

სულ სამი შეხვედრა გვაქვს, ხარკოვის და სევასტოპოლის გუნდები და ყაზახეთის ნაკრებები გაგვეჯიბრებიან. ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გალაკტიონ ლაითაძე, აქამდე საუდის არაბეთში რომ თამაშობდა, უკრაინულ „ხარკოვში“ გადავიდა და ჩვენს წინააღმდეგ გამოვა. ლაითაძე თბილისში იყო ჩამოსული, დაველაპარაკეთ და წასვლის ნება მივეცით. რა ვქნა, სხვა გზა არ იყო. იქ მას იდეალურ პირობებს სთავაზობენ, საქართველოში კი აუზი არა გვაქვს, რომ ნორმალურად ივარჯიშოს. ასე თუ გაგრძელდა, სხვა პერსპექტიული ბიჭებიც წავლენ.

ზურა რურუაზე დიდი მოთხოვნაა. ის ჯერ სწავლობს და ამიტომ უჭირს წასვლაზე ფიქრი. დაამთავრებს ზაფხულში და მერე თუ ისევ ასეთი მდგომარეობა იქნება, წავა. იგივე ითქმის სანდრო რუსიშვილზე, მას უკრაინელები და ყაზახები იწვევენ.

ერთადერთი იმედი კლუბის შექმნაა. ვნახოთ, „ლაგუნა ვერეზე“ იქნებ მოხერხდეს ამის გაკეთება. ჯერ უნდა დარწმუნდნენ, რომ ფინანსები ამის საშუალებას მისცემთ. თუ კლუბი გაკეთდა, ჩვენც გვეშველება...

**ლეჟსო მაისურაძე**


ბადრი კეთილაძის ფოტო



## რეგულარული ჩემპიონატი

31 იანვარი

**აილენდერსი 1:3 ლოს ანჯელესი**
*1:1 0:0 0:2*
0:1 მაულსონი (11), 1:1 ბერარი (15), 1:2 ბლეიკი (48), 1:3 ფროლოვი (60)

**ვაშინგტონი 5:4 მონრეალი**
*1:0 2:2 1:2 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 ოვეჩკინი (14), 2:0 კოზლოვი (25), 3:0 ოვეჩკინი (32), 3:1 კოსტიცინი (33), 3:2 კოსტიცინი (40), 4:2 ოვეჩკინი (53), 4:3 ლატანდრესი (54), 4:4 ლატანდრესი (60), 5:4 ოვეჩკინი (64)

**ფილადელფია 0:4 რეინჯერსი**
*0:2 0:2 0:0*
0:1 დრიუსი (9), 0:2 პრუხა (18), 0:3 დრური (21), 0:4 შენაჰენი (22)

**კაროლინა 3:2 ტორონტო**
*0:1 1:0 1:1 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 ტლასტი (4), 1:1 გლისონი (34), 2:1 უოქერი (44), 2:2 სუნდინი (60), 3:2 ბრინდამორი (64)

**ოტავა 1:4 ბოსტონი**
*0:3 0:0 1:1*
0:1 კესელი (1), 0:2 ლუჩიჩი (4), 0:3 სავარი (9), 1:4 ვერმეტი (52), 1:4 კობასიუ (60)

**ტამპა 4:3 ვანკუვერი**
*1:2 2:0 1:1*
0:1 ბურდონი (3), 1:1 პროსპალი (8), 1:2 პაიეტი (17), 2:2 გრეტონი (24), 3:2 ლეკავალიე (37), 4:2 რიჩარდსი (49), 4:3 ედლერი (60)

**ნეშვილი 4:2 კოლუმბუსი**
*2:0 2:2 0:0*
1:0 რადულოვი (1), 2:0 არნოტი (12), 2:1 ჟერდევი (21), 3:1 ფიდლერი (29), 3:2 ფრიტშე (32), 4:2 ნიკოლი (34)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge